F-171
1984

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1984

ნოემბერი № 11 НОЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 8/II-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/III-85 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 6,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6

შეკვეთა № 121 უე 11465 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7

f-5269

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება

### 1984—1985 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მზადყოფნის შემოწმების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში 1984—1985 სასწავლო წლისათვის მზადება დროულად დაიწყო. მუშაობა წარიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა განხორციელების შუქზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიმდინარე წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით დამტკიცებული 1983—1984 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1984—1985 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებების გეგმით განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ამოცანები.

კოლეგიამ რამდენჯერმე მოისმინა სამმართველოებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ინფორმაციები სკოლის რეფორმის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ. ამავე საკითხს მიეძღვნა განათლების სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ქ. ტყიბულში, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში, ბოლნისისა და სიღნაღის რაიონებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისა და სასკოლო რეფორმის მსვლელობის მდგომარეობა.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დროულად მოემზადა მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციების მაღალიდეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისათვის. შემუშავდა და ადგილებზე დაიგზავნა მეთოდური რეკომენდაციები 1984 წლის მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციისათვის. თათბირების, განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და სიტყვით გამოვიდნენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციებზე შეჯამდა ჩატარებული მუშაობის შედეგები და დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელებისათვის.

განათლების სამინისტროს მიერ ადგილებზე ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წელი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ძირითადად ორგანიზებულად დაიწყო.

განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1 სექტემბრისათვის ექსპლოატაციაში შევიდა 29 საშუალო სკოლის ახალი შენობა 15.318 მოსწავლე ადგილზე. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა რესპუბლიკის სკოლებს 8 მილიონი მანეთის ოდენობით. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიები აღიჭურვა 2 547,0 ათასი მანეთის პროდუქციით, აქედან სკოლებს გადაეცათ 220 ათასი მანეთის ავეჯი, 870 ათასი მანეთის რბილი და სხვადასხვა სახის სამეურნეო ინვენტარი, 757 ათასი მანეთის თვალსაჩინოება და სწავლების ტექნიკური საშუალებები.

დიდი მუშაობა ჩატარდა სკოლების სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 11-წლიანი სწავლების I კლასში მომუშავე მასწავლებელთათვის დამხმარე მეთოდური ლიტერატურის შემუშავების საქმეს. მათთვის მომზადდა 11 დასახელების მეთოდური რეკომენდაციები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის მითითების შესაბამისად გაძლიერდა მუშაობა სწავლებისა და აღზრდისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით. გაფართოვდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი. რესპუბლიკის 100-მდე სკოლაში შეიქმნა პირობები აღსაზრდელთა ძილის ორგანიზაციის მიზნით, გატარდა ღონისძიებანი სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად. ქმედითი ზომებია მიღებული მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. რიგი რაიონების სასკოლო სასადილოებსა და ბუფეტებში გაიზარდა დასაჯდომი ადგილების რაოდენობა, მოწესრიგდა სკოლების პროდუქტებით მომარაგების საკითხი. სათანადო ყურადღება დაეთმო სასწავლო დაწესებულებების შესაბამისი პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებას. მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლებში განაწილდა 1490 ახალგაზრდა სპეციალისტი, მათ შორის 928 — სოფლად.

რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სკოლა-ინტერნატსა და სკოლისგარეშე დაწესებულებაში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა სასწავლო წლის 1-ლი დღე, რომელიც პარტიისა და მთავრობის მიერ ცოდნის დღესასწაულად იქნა დაწესებული. სახალხო ზეიმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, მეცნიერების, კულტურის

მოღვაწეებმა, წარმოების მოწინავეებმა.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და სკოლა-ინტერნატი სრულ მზადყოფნაში ვერ შეხვდა ახალ სასწავლო წელს.

შემოწმებით დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის 1 სექტემბრისათვის ექსპლოატაციაში ვერ შევიდა გეგმით გათვალისწინებული სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების შენობები სამშენებლო სამუშაოების დაუსრულებლობის გამო. 1984 წლის III კვარტალში ქარელის რაიონში დაგეგმილი იყო ერთი 140 ბავშვადგილიანი სკოლამდელი დაწესებულების ექსპლოატაციაში გადაცემა. დაბა ასპინძაში არ დამთავრებულა საბავშვო სახლის ახალი შენობა, რომლის ჩაბარება 1 სექტემბრისათვის იყო გათვალისწინებული. დროულად არ დამთავრდა შიდა სამუშაოები ქ. ფოთის საბავშვო ბაღის მშენებლობაზე. რიგ შემთხვევაში დამთავრებული არ არის სამშენებლო სამუშაოები საინიციატივო წესით მშენებარე ობიექტებზე. ადგილი აქვს სარემონტო სამუშაოების უხარისხოდ ჩატარებისა და დაუმთავრებლობის შემთხვევებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირნათის, ჭიათურის რაიონის სოფელ ბუნიკაურის, ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის, ლანჩხუთის რაიონის სკოლა-ინტერნატები და გარდაბნის რაიონის სოფელ კოჯრის № 1 საბავშვო სახლი. სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში არსებული სუსტი ტემპი იმითაც არის გამოწვეული, რომ რიგ რაიონებსა და ქალაქებში ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა და სახალხო განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს ამ საქმეში საშეფო ორგანიზაციების გააქტიურება.

ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების გახსნის, მათთვის სათანადო სათავსების გამოყოფისა და ცხელი კერძებით მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში (მესტიის, ბოგდანოვკის, მარნეულის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონებში).

რესპუბლიკის რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სათბობით მომარაგებაშიც, ჯერ კიდევ არ არის შეზიდული სათბობი მასალა სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში.

გაუმჯობესებას საჭიროებს შრომითი სწავლების ორგანიზაციის საკითხი.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის დაგეგმილი სასწავლო-საწარმოო კომბინატები არ გაიხსნა ქ. ქ. ცხინვალში, ფოთში, გორში და გაგრის ზონის სოფელ ხეივანში. ნაკლოვანებებია IV—VIII კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლების ორგანიზაციის საქმეში. სათანადოდ არ არის გადაწყვეტილი პოლიტექნიკური სწავლებისათვის სკოლების საჭირო მასალებით უზრუნველყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარვეზებია მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით მომარაგების საქმეში.

ახალი სასწავლო წლისათვის პოლიგრაფიული მიზეზების გამო დაუბეჭდავი იყო 5 დასახელების სახელმძღვანელო. იმავე მიზეზით დაგვიანებით მიიღებენ სკოლები 6 დასახელების პროგრამას.

ნაკლოვანებებია სკოლების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის პედაგოგთა რაზმი ყოველწლიურად ივსება, მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ აკლიათ სხვადასხვა საგნის სპეციალისტები. განსაკუთრებით არ ჰყოფნით რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენის, ფიზიკის, მათემატიკის, ფიზკულტურის მასწავლებლები.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებას ვერ უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ინტერნატულ დაწესებულებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზების განმტკიცების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი;

1. 2. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება 1984—1985 სასწავლო წლის დაწყების შედეგების თაობაზე, მიუსადაგონ იგი ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქსა და რაიონში არსებულ მდგომარეობას ყოველმხრივ არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

1. 3. გაატარონ ქმედითი ღონისძიებები ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის სრულად განსახორციელებლად, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, საskolo ინტერნატების ქსელის გასაზრდელად, მათი მუშაობის პირობების ძირეულად გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს;

1. 4. ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში ყოველმხრივ გააანალიზონ გაწეული მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მატერიალური ბაზის განმტკიცების, კაბინეტ-ლაბორატორიების და სასწავლო სახელოსნოების კეთილმოწყობისა და შევსების, სტაბილური სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფის, სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების მასწავლებელთა კადრებით სრულ დაკომპლექტებას, ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დამაგრებას.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) სამინისტროს სხვადასხვა სამმართველოებსა და განყოფილებებთან ერთად 1985 წლის 1 აპრილამდე მოამზადოს და კოლეგიაზე დასამტკიცებლად წარმოადგინოს 1985—1986 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა გეგმა.

3. ამ გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციაში, დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი Ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 13 სექტემბრის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების სრულად განხორციელებისა და მისი შემდგომი სრულყოფის, სასკოლო ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის დონის ძირეულად ამაღლების, მათი ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ჩატარდეს სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერება 1984 წლის სექტემბრიდან 1985 წლის მაისამდე.

2. დამტკიცდეს:

2. 1. სასკოლო ინტერნატების დათვალიერების დებულება (დანართი 1).

2. 2. რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა (დანართი 2).

3. დათვალიერება ჩატარდეს ორ ეტაპად:

ა) ადგილობრივი — სარაიონო (საქალაქო);

ბ) რესპუბლიკური.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ადგილობრივ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შექმნან სასკოლო ინტერნატების დათვალიერების ადგილობრივი კომისიები;

4. 1. ადგილობრივმა კომისიებმა დათვალიერების მასალები გადა-

უგზავნონ რესპუბლიკურ კომისიას (საქართველოს სსრ განათლების სა-მინისტროს სკოლების სამმართველოს) 1985 წლის 1 მარტამდე.

5. რესპუბლიკურმა კომისიამ შეაჯამოს დათვალიერების შედეგები და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს 1985 წლის მაისისათვის.

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი), განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ჟორჟოლაძე).

**კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ლორთქიფანიძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სასკოლო ინტერნატების რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ

სასკოლო ინტერნატების რესპუბლიკური დათვალიერება ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1984 წლის სექტემბრიდან 1985 წლის მაისამდე.

### დათვალიერების ამოცანები

1. სასკოლო ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფა, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხისა და აღზრდილობის დონის ამაღლება, მათი აღზრდა ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებზე, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე.

2. სასკოლო ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება, აღსაზრდელთათვის საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მათი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

3. საშეფო ორგანიზაციებთან — კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სამრეწველო საწარმოებთან და სხვა დაწესებულებებთან კავშირის დამყარება.

დათვალიერების დროს ყურადღება მიექცეს შემდეგ საკითხებს:

1. ინტერნატების კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება;

2. სასწავლო-მატერიალური ბაზის მდგომარეობა:

მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლებში ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების არსებობა (გათბობის ქსელის, ელექტრომეურნეობის, წყალსადენის მდგომარეობა, სასმელი და სამეურნეო წყლით მომარაგება), მაგარი და რბილი ინვენტარით (საწოლები, მაგიდები, კარადები, სკამები, ტუმბოები, სარკეები, პირსაბანი და ხელსაბანი, თეთრეული, მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის საგნები) და სასაწყობო მეურნეობით უზრუნველყოფა. იზოლატორის, დასასვენებელი, სათამაშო და ჰიგიენური ოთახების გამოყოფა, მათი აღჭურვა საჭირო დგამ-ავეჯით და პირადი მოხმარების საგნებით.

შენობების, ლოგინის და ეზო-გარემოს სანიტარიული მდგომარეობა, მოსწავლეთა პირადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვა, მათი პროფილაქტიკური შემოწმების დროულად ჩატარება.

სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთის, კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოს, ბიბლიოთეკის არსებობა და მათი დანიშნულებით გამოყენება, სპორტდარბაზის მოედნების კეთილმოწყობა.

აღსაზრდელთა ფიზიკური აღზრდა (ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, მშთ კომპლექსის ნორმების ჩაბარება).

3. მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია:

კვების ბლოკში (სასადილო, ბუფეტი) დასაჯდომი ადგილების რაოდენობა, ზრდის პერსპექტივა, სასადილოს უზრუნველყოფა საჭირო ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობით, ჭურჭლით, გამდინარე ცხელი და ცივი წყლით.

კვების პროდუქტებით მომარაგება (განსაკუთრებით კარაქით, რძით, რძის პროდუქტებით, ხორცით, ახალი ხილით, ბოსტნეულით), კერძების კალორიულობა, ვიტამინიზაცია, მრავალფეროვნება.

საცდელ ნაკვეთზე მიღებული პროდუქტების ხვედრითი წილი კვების საქმეში.

აღსაზრდელთა მომსახურებისა და თვითმომსახურების კულტურა, პურისა და სხვა კვების პროდუქტებისადმი პატივისცემის ჩვევების აღზრდა.

4. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და ფორმები:

სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთობლივი წლიური გეგმის, მეცადინეობის ყოველდღიური და ყოველკვირეული განრიგის არსებობა, დასახულ ღონისძიებათა კონკრეტულობა, საშინაო დავალებათა შესასრულებლად მეცადინეობის ჩატარების შინაარსი და ორგანიზაცია. დანერგილია თუ არა საგაკვეთილო აღმზრდელობითი მუშაობის მრავალმხრივი შემოქმედებითი ფორმები: თვითმომსახურებითი საზოგადოებრივად სასარგებლო და საწარმოო შრომითი, ტექნიკურ-შემოქმედებითი, ფიზკულტურულ-სპორტული, საექსკურსიო-ტურისტული მუშაობა და მონაწილეობა წრეებში, სექციებსა და სტუდიებში. აღმზრდელთა და მასწავლებელთა მუშაობის გონივრული კავშირი.

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, პატრიოტული, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა.

სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა საგანმანათლებლო აღმზრდელობით მუშაობაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაცია.

5. პედაგოგიური კადრები, მათი იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიური და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების მდგომარეობა.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში და აღსაზრდელთათვის სანიმუშო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში მაღალი მაჩვენებლების მქონე კოლექტივებისა და ცალკეული აღმზრდე-

ლების მუშაობის გამოცდილების შესწავლა და განზოგადება.
6. შეფ ორგანიზაციებთან — სამრეწველო საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან კავშირის დამყარება, მათი მონაწილეობა სასკოლო ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, სკოლისგარეშე მუშაობის სრულყოფაში. ამ მხრივ გაწეული მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადება. მშობელთა კომიტეტების როლის შემდგომი ამაღლება სასკოლო ინტერნატების სრულყოფის საქმეში.

### დათვალიერების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა დაჯილდოება

სახალხო განათლების განყოფილებები, კომკავშირის რაიკომები, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტები საორგანიზაციო კომიტეტში წარმოადგენენ ინფორმაციას დათვალიერების შედეგების შესახებ და აგრეთვე წინადადებებს საუკეთესო კოლექტივებისა და მუშაკების წახალისების შესახებ 1985 წლის 1 მარტამდე.

საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივები, პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები, კომკავშირული ორგანიზაციები, სკოლის დირექტორები, სასკოლო ინტერნატების გამგეები, აღმზრდელები, მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, კომკავშირის და პროფკავშირის აქტივისტები, შეფი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებმაც სასკოლო ინტერნატების მუშაობაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს, დაჯილდოვდებიან განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცკ-ის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით და „საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

გამარჯვებული სასკოლო ინტერნატების დასაჯილდოებლად რაიონის განათლების განყოფილებებს სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად, ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად დამატებით გამოეყოფათ ცენტრალიზებული თანხები: I ადგილისათვის — 1000 მანეთი, II ადგილისათვის — 700 მანეთი, III ადგილისათვის — 500 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 2

## რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა

1. დოლიძე ო. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე)
2. ხაჩიძე მ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ვარდოსანიძე გ. — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. ტატიშვილი თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
5. კერესელიძე ო. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი
6. ზარქუა ე. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
7. ძლიერიშვილი კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი
8. აფხაზავა ბ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფრ ოსი
9. ივანიძე ნ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი
10. ჟორჟოლაძე ა .— განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ხელფასისა და საწარმოო მუშაობის განყოფილების გამგე
11. ჭუმბაძე გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი (მდივანი)
12. ლაჭავა ლ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი
13. ფირცხალავა შ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი
14. ბერუჩაშვილი ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური კაბინეტის ეკონომიკის განყოფილების გამგე
15. ზიბზიბაძე ს. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ინტერნატული დაწესებულებების მეთოდური კაბინეტის გამგე
16. ნოზაძე ნ. — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება

### საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს მიერ მიმდინარე წლის 6 თვეში ჩატარებული რევიზიების შედეგებისა და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველომ, სსრკ ფინანსთა სამინისტროს დავალების შესაბამისად, მიმდინარე წლის I-II კვარტალში ჩაატარა დოკუმენტური რევიზიები ქუთაისის, თელავისა და თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური და ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურების ბუღალტერიებში, აგრეთვე საციგურაო სპორტსკოლისა და განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში.

რევიზიის შედეგად დადგინდა, რომ რაიონებისა და ქალაქების სკოლების ინვენტარითა და მოწყობილობით მომარაგება წარმოებს ცენტრალიზებული წესით: 1983 წელს გათვალისწინებული იყო 1900 ათასი მანეთი, 1984 წლისათვის კი დადგენილია 1849 ათასი მანეთი.

ფინანსთა სამინისტრო აფინანსებს სახალხო განათლების 75 დაწესებულებას, რომელთა შორის, მიზანშეწონილია, ადგილობრივ ბიუჯეტს გადაეცეს სამი ექსპერიმენტული სკოლა, სოფლის სანატორიული სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა ბაგები.

რევიზიების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

— რესპუბლიკურ საბიუჯეტო დაწესებულებებში მიმდინარე პერიოდის ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და დამტკიცების დროს მხედველობაში არ იყო მიღებული ამ დაწესებულებების ხარჯების ფაქტიური შესრულება განვლილ პერიოდში. ხშირად ხარჯთაღიცხვით დამტკიცებული ამა თუ იმ ღონისძიების თანხა ბევრად აღემატება წინა წლის ფაქტიურ ხარჯს. მაგალითად: ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯები 1984 წლისათვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 5 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც 1983 წელს ფაქტიურად ამ მუხლით დაიხარჯა 2,6 ათასი მანეთი, ამასთან, ხარჯთაღრიცხვას არ აქვს დართული გაანგარიშებები, თუ რა საჭიროებისათვის დაიგეგმა 5 ათასი მანეთი. ასევე დაუსაბუთებელია, იმავე სადგურს 1984 წლისთვის რატომ დაუტოვეს წინა წლის ხარჯთაღრიცხვით სხვადასხვა ხარჯებისათვის (მუხლი 18) დაგეგმილი თანხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც 1983 წელს ფაქტიურად 3,5 ათასი მანეთი დაიხარჯა.

გარდა ამისა, დადგინდა, რომ თანდართულ გაანგარიშებებს აკლია შენობათა ფართობის მაჩვენებლები, ღუმელების და ქვაბების რაოდენობა, გათბობის სისტემა და სხვა მონაცემები, რომლებიც საჭიროა სამეურნეო და სხვა კომუნალური ხარჯების, დამხმარე პერსონალის განსაზღვრისათვის.

— ზოგიერთ ხაჯთაღრიცხვას არ აქვს დართული მასწავლებლების სატარიფიკაციო სიები, ადგილი აქვს ნორმატივების ზევით საშტატო ერთეულებისა და ხელფასის ფონდში ზედმეტი თანხების დამტკიცების შემთხვევებს. მაგალითად, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურს საშტატო განრიგით ეკუთვნის 3 სეზონური მეღუმელე 6 თვის ვადით. ხელფასის ფონდი დაგეგმილია 12 თვით, ე. ი. 1,4 ათასი მანეთით მეტი; ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურს ზაფხულის არდადეგების პერიოდში ეკუთვნოდა (გაანგარიშებით 1 ექსკურსიამძღოლი 25 ბავშვზე) 6 ერთეული, ხარჯთაღრიცხვით კი დამტკიცებული აქვს 8 ერთეული, ე. ი. ხელფასის ფონდი 2,6 ათასი მანეთით ზედმეტია. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში, ასევე, ზედმეტად იყო დაშვებული დამლაგებლის, მემანქანისა და ბუღალტრის 0,5 განაკვეთი. უზუსტობა იყო დაშვებული მასწავლებელთა დახელოვნების თბილისის, თელავისა და ქუთაისის ინსტიტუტების ხარჯთაღრიცხვებშიც.

— დარღვეულია შეთავსებითი სამუშაოების კანონმდებლობა, რის შედეგადაც ფიგურული სრიალის ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლასთან არსებული ცენტრალიზებული ბუღალტერიის მომსახურებაში მყოფ 5 დაწესებულებას სარევიზიო პერიოდში აღმოაჩნდა ზედმეტად გაცემული 14 ათასი მანეთი; ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურებს შესაბამისად — 1,5 ათასი და 3,9 ათასი მანეთი. არასწორი ტარიფიკაციის შედეგად შემოწმებულ 5 დაწესებულებაში ზედმეტად გადახდილია 1,1 ათასი მანეთი.

— ფინანსური კლასების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ დებულების დარღვევით 1-ლ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში ზედმეტად იყო გახსნილი 10 კლასი, რომელთა შენახვაზე დაიხარჯა 16,3 ათასი მანეთი. ნორჩ მოციგურავეთა სპორტსკოლის ცენტრალიზებული ბუღალტერიის მომსახურებაში მყოფ ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურში რევიზიამ გამოავლინა სახელმწიფო თანხების მითვისების ფაქტები. 1981—1983 წლებში კანონსაწინააღმდეგო ოპერაციებს აწარმოებდა ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი ბუღალტერი მ. იოსელიანი, რომელიც ძირითადი სამუშაოს გარდა, შეთავსებით ასრულებდა ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურისა და ტურბაზის შტატში სპეცსახსრების ხარჯზე დამტკიცებული

ბუღალტრის სამუშაოს სრული ანაზღაურებით. ფიქტიურ პირებზე გამოწერილი ხელფასის თანხას, საკასო ოპერაციების წარმოების მოქმედი დებულების 25-ე მუხლის უხეში დარღვევით, მ. იოსელიანი თვითონ იღებდა მოლარისაგან და მას ითვისებდა უწყისებში ყალბი ხელისმოწერის გზით. რევიზიამ დაადგინა, რომ ამ და სხვა მაქინაციებით მის მიერ მითვისებული თანხა 42,1 ათას მანეთს შეადგენს.

1983 წელს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს მიერ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში ჩატარებული დოკუმენტური რევიზიებითა და შემოწმებებით გამოვლინებულია 326 ათასი მანეთის უკანონო ხარჯები და 18 ათასი მანეთის მატერიალურ ფასეულობათა დანაკლის-მითვისებები. უკანონოდ გაცემული თანხების 71% ხელფასებზე მოდის. დიდი თანხებია გაცემული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ქ. სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, კაპიტალური რემონტის სამუშაოების ანგარიშზე, თანამშრომლებზე, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ ამ სამუშაოების შესრულებაში, 2 წლის განმავლობაში გაცემულ იქნა 48,2 ათასი მანეთი, ქ. ცხინვალში ორი საბავშვო სახლის ექსპლოატაციაში შესვლამდე მომსახურე პერსონალზე 1982—1983 წლებში გაცემულ იქნა 36 ათასი მანეთი.

საკონტროლო-სარევიზიო სამმართველომ არაკანონიერ ხარჯად ჩათვალა გორის რაიონის განათლების განყოფილების მიერ სპეცსახსრების ანგარიშიდან პროფკავშირების ხაზით პიონერთა ბანაკის მშენებლობაზე გადარიცხული 43,8 ათასი მანეთი, რომელიც განათლების განყოფილების შეტყობინებით, გადაირიცხა რაიაღმასკომის დადგენილების საფუძველზე.

განათლების სამინისტროს, სათანადო საშტატო ერთეულების სიმცირის გამო, არ აქვს შესაძლებლობა კონტროლი გაუწიოს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახალხო განათლების დაწესებულებების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას ან კონკრეტულად გადაამოწმოს ზემოაღნიშნული ფაქტის კანონიერება.

დარღვევები და ნაკლოვანებები გამოვლინდა სამინისტროს სამეურნეო ორგანიზაციებშიც. მაგალითად თვალსაჩინოების საბაზო მაღაზიაში რკინიგზის ვაგონების მოცდენის ჯარიმა 233 მანეთი დამნაშავე პირის დაუდგენლად კომერციულ ხარჯებშია გატარებული, 3 მუშაკზე გაცემულია ხელფასის კომპენსაცია 0,2 ათასი მანეთი, ზედმეტადაა გაცემული ხელფასი და საშვებულებო თანხა 0,25 ათასი მანეთი. არ წარმოებს შედარებები, მომწოდებლებთან და დამკვეთებთან გაზრდილია დებიტორული დავალიანებები.

ნაკლოვანებებია საპროექტო კანტორის სამეურნეო საქმიანობაში. რევიზიის მომენტისათვის არ იყო შედგენილი საპროექტო-საძიებო სამუშაოების პერსპექტიული გეგმა, როგორც წესი, დაგვიანებით ხდება

პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამკვეთებისათვის ჩაბარება; 15 შემთავსებელ სპეციალისტზე სათანადო გაფორმების გარეშე გაცემული 15,4 ათასი მანეთი. არის სხვა ხასიათის დარღვევებიც, რაზედაც იმსჯელა ქ. თბილისის 1 მაისის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა და სასჯელები დაადო საპროექტო კანტორის პასუხისმგებელ მუშაკებს.

მსგავსი დარღვევები და ნაკლოვანებები გამოვლინდა სტამბისა და სტენოგრაფიის რესპუბლიკურ სკოლაში. წინა რევიზიებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებაზე სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის სკოლას არ აქვს გატარებული ღონისძიებები, რის გამოც ერთი და იგივე დარღვევა-ნაკლოვანებები შემდგომშიც მეორდება. აღსანიშნავია, რომ 1983 წელს სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მიღებული მოგებისა და საკუთარი საბრუნავი სახსრების გადანაწილების გეგმა ჯერ კიდევ არაა შესრულებული ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციის მიერ (საპროექტო კანტორა, სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, ბიბლკოლექტორი და სხვ.). დარღვევები და ნაკლოვანებები გამოვლინდა სამტრედიის სპეცსკოლაში, ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატში, კ. ლესელიძის სახ. სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატსა და ენგურჰესის მშენებლობის საბავშვო ბაგა-ბაღში. ამ უკანასკნელის გამგისა და ბუღალტრის საკითხი მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ გადაცემულია სახალხო კონტროლის კომიტეტზე.

კოლეგიას მიაჩნია, რომ ზემოჩამოთვლილი დარღვევა-ნაკლოვანებებისა და მითვისებათა მიზეზია ის, რომ მცირე სიმძლავრისა და ისეთი დაწესებულებები, რომლებიც შეიძლება ადგილობრივი (საქალაქო, სარაიონო) ორგანოების დაქვემდებარებაში არსებობდნენ, რესპუბლიკურ ბიუჯეტზე იმყოფებიან.

— რესპუბლიკური დაწესებულებების დიდი უმრავლესობის ბუღალტრული აღრიცხვის ცალ-ცალკე, ცენტრალიზაციის გარეშე წარმოება, აღრიცხვის დარგის მუშაკების დაბალი კვალიფიკაციისა და სიმცირის გამო, შეუძლებელს ხდის მათ შეცვლას კვალიფიციური ბუღალტრებით და აღრიცხვის საქმეში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს (ამხ. თ. ბაღაშვილი) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს და 1 თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადება:

1. 1. რესპუბლიკური საბიუჯეტო დაწესებულებების ცენტრალიზებული ბუღალტერიების გამსხვილების შესახებ;

1. 2. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დახმარებით უფრო აქტიურად მოკიდოს ხელი საბუღალტრო აღრიცხვაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის საქმეს;



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

1. 3. ყოველწლიურად მოაწყოს ბუღალტრების სემინარული მეცადინეობა, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს სპეციალისტები სათანადო ანაზღაურებით;

1. 4. გააქტიუროს მუშაობა ქსელში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის შემოწმების საკითხში; სამინისტროს სხვა სამმართველოებთან და განყოფილებებთან შეთანხმებით მივლინებებში გაზავნილი ინსპექტორები, მთავარი, სასკოლო და უფროსი ინსპექტორები, ინსპექტორ-მეთოდისტები, მეთოდისტები, ეკონომისტები და ფინანსისტები მათი კვალიფიკაციის შესაბამისად გამოიყენოს თემატური შემოწმებებისათვის (განათლების სამინისტროს მიერ დაგზავნილი ნორმატიული მასალების ადგილებზე მიღების, გაცნობის და შენახვის საკითხი. ფილმოთეკების მიერ ფილმოფონდების ოპერატიული აღრიცხვის მდგომარეობა; ცენტრალიზებულად გადახდილი თვალსაჩინოების, ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მანქანების მიღებაზე დასტურის სამინისტროში გამოგზავნა).

2. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ო. კერესელიძე):

2. 1. განსაკუთრებული კონტროლი დააწესოს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვების განხილვა-დამტკიცებაზე, მკაცრად მოსთხოვოს დაწესებულებების პასუხისმგებელ მუშაკებს სათანადო გაანგარიშებები, მონაცემები შენობა-ნაგებობების ტიპის, ფართობის, კუბატურისა და სხვათა შესახებ, რაზედაც დამოკიდებულია საექსპლოატაციო, კომუნალური და სამეურნეო ხარჯების განსაზღვრა;

2. 2. განიხილოს და ერთი თვის ვადაში მოამზადოს წინადადება ზოგიერთი რესპუბლიკური საბიუჯეტო დაწესებულების ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ.

3. თბილისის, ქუთაისისა და თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, საპროექტო კანტორის, თვალსაჩინოების ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის, სტამბისა და სტენოგრაფიის რესპუბლიკური სკოლის დირექტორებმა და მთავარმა (უფროსმა) ბუღალტრებმა მიიღონ ზომები სარევიზიო აქტებში აღნიშნული ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში გამოსწორებისათვის. დროზე მოახდინონ რეაგირება რევიზიის შედეგებზე და გატარებული ღონისძიებების შესახებ დაუგვიანებლივ გააგზავნონ მასალები ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოში და განათლების სამინისტროში.

4. აღნიშნული დარღვევებისათვის მკაცრად იქნან გაფრთხილებულნი ნორჩ ნატურალისტთა სადგურის დირექტორი ვ. შუბლაძე, უფროსი ბუღალტერი ნ. ძოწენიძე, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი გ. ეპიტაშვილი, უფროსი ბუღალტერი თ. ზაალიშვილი, ბავშვთა-მოზარდთა საციგურაო სკოლის დირექტორი ნ. ნათაძე, მთავა-

რი ბუღალტერი მ. ნებიერიძე, ენგურჰესის მშენებლობის საბავშვო ბაგის გამგე ლ. სამუშია და უფროსი ბუღალტერი ი. ფიფია.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მასალები ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტულ სადგურში გაწეული უკანონო ხარჯების შესახებ განიხილა ფინანსთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროს გაერთიანებულმა კოლეგიამ.

გამოვლენილი დარღვევების შესახებ მასალები გადაეცა საგამოძიებლო ორგანოებს. ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი ბუღალტერი მ. იოსელიანი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან.

6. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს (ამხ. თ. ბალაშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი Ო. ქᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ**

## РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О результатах ревизии, проведенных Контрольно-ревизионным управлением Министерства финансов ГССР за 6 месяцев текущего года и мерах по изжитию имеющихся недостатков**

**13 сентября 1984 года**

Контрольно-ревизионное управление Министерства финансов ГССР в соответствии с заданием Министерства финансов СССР в I и во II кварталах текущего года провело документальные ревизии в бухгалтериях Тбилисского, Кутаисского и Телавского институтов усовершенствования учителей, Республиканской станции юных натуралистов и Центральной станции юных техников, в централизованных бухгалтериях Детско-юношеской спортивной школы фигурного катания и Центрального аппарата Министерства просвещения.

В результате ревизий установлено, что обеспечение городских и районных школ инвентарем и оборудованием осуществляется в централизованном порядке: на эти цели в 1983 году было предусмотрено 1900 тыс. рублей, а на 1984 год — 1849 тыс. рублей.

Министерство финансов финансирует 75 учреждений народного образования, из коих, целесообразно было бы передать на местный бюджет три экспериментальные школы, сельские санаторные школы-интернаты и детские ясли.

В результате ревизий выявлены следующие нарушения:

— в республиканских бюджетных учреждениях при составлении и утверждении смет за текущий период не было принято во внимание факчическое выполнение этими учреждениями расходов за прошедший период. Часто утвержденная сметой сумма на то или иное мероприятие намного превышает фактические расходы на то же мероприятие предыдущего года. Так например, в Республиканской станции юных натуралистов канцелярско-хозяйственные расходы по утвержденной на 1984 год смете предусматривают 5 тыс. рублей, тогда как в 1983 году фактически по этой статье израсходовано 2,6 тыс. рублей. При этом, к смете не прилагаются расчеты, свидетельствующие о том, для каких нужд запланированы 5 тыс. рублей. Также необоснована запланированная для той же станции сметой на

ეროვნული ბიბლიოთეკა

1984 год сумма в 10 тыс, рублей на разные расходы (статья 18), тогда как в 1983 году на эти цели фактически было израсходовано 3,5 тыс. рублей.

Кроме того, установлено, что в прилагаемых расчетах отсутствуют показатели квадратуры зданий, количество печей и котлов, система отопления и другие данные, которые необходимы для определения хозяйственных и других расходов и количества подсобного персонала.

— К некоторым сметам не приложены тарификационные списки учителей, имеются сверхнормативные штатные единицы и в фонде зарплаты утверждены лишние суммы. Например, Республиканской станции юных натуралистов по штатному расписанию положено 3 сезонных истопника сроком на 6 месяцев, фонд же зарплаты запланирован на 12 месяцев, т. е. на 1,4 тыс. рублей больше положенного; Республиканской детской экскурсионно-туристической станции в период летних каникул полагалось (из расчета 1 экскурсовод на 25 детей) 6 единиц, однако сметой утверждено 8 единиц, т. е. фонд зарплаты преувеличен на 2,6 тыс. рублей. Также лишние по 0,5 ставки уборщицы, машинистки и бухгалтера были утверждены для Центральной станции юных техников. Неточности были допущены в сметах Тбилисского, Кутаисского и Телавского институтов усовершенствования учителей.

— Нарушено законодательство о совместительской работе, в результате чего в 5-ти учреждениях, находящихся в обслуживании централизованной бухгалтерии при Детско-юношеской спортивной школе фигурного катания в период ревизии выявлены излишне 14 тыс. рублей, а на станциях юных тхников и юных натураилстов—соответственно 1,5 тыс. и 3, 9 тыс. рублей.

В результате неправильной тарификации в 5-ти других проверенных учреждениях излишне выданы 1,1 тыс. рублей.

— С нарушением Положения об определении количества финансовых классов в Республиканской экспериментальной средней школе № 1 излишне было открыто 10 классов, на содержание которых израсходовано 16,3 тыс. рублей.

В Центральной детской экскурсионно-туристической станции, находящейся в обслуживании централизованной бухгалтерии Детско-юношеской спортивной школы фигурного катания ревизия обнаружила факты присвоения государственных средств. Главный бухгалтер централизованной бухгалтерии М. Ио-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

селиани, одновременно совмещая работу бухгалтера, утвержденного за счет спецсредств в штате экскурсионно-туристической станции и турбазы с полной оплатой работы, в 1981—1983 годах производила противозаконные операции. Сумму зарплаты, выписанную на фиктивные лица, М. Иоселиани, грубо нарушая п. 25 действующего Положения о ведении кассовых операций, лично принимала от кассира и присваивала ее путем фальшивых подписей в ведомостях. Ревизия установила, что присвоенная ею в результате этих и других махинаций сумма составляет 42.I тыс. рублей.

Документальными ревизиями и проверками, проведенными в 1983 году Контрольно-ревизионным управлением в учреждениях, находящихся на местном бюджете, выявлены незаконные расходы на 325 тыс. рублей, а также недостачи и присвоения материальных ценностей на сумму 18 тыс. рублей, 71% незаконно выданных сумм приходится на зарплату. Большие суммы выданы в Абхазской АССР и Юго-Осетинской А/О. В учреждениях дошкольного воспитания г. Сухуми и Очамчирского района на счета капитального ремонта, на сотрудников, не принимавших участия в выполнении этих работ, за 2 года выдано 48,2 тыс. рублей. В г. Цхинвали до ввода в эксплуатацию двух детских домов на обслуживающий персонал в 1982—1983 году выдано 36 тыс. рублей.

Контрольно-ревизионное управление сочло незаконным расходование 43,8 тыс. рублей, которые были перечислены Горийским районным отделом народного образования на строительство пионерского лагеря со счетов спецсредств по линии профсоюза, на основании постановления райисполкома.

Министерство просвещения из-за недостаточности соответствующих штатных единиц не имеет возможности контролировать финансово-хозяйственную деятельность учреждений народного образования, находящихся на местном бюджете или в конкретном случае перепроверить законность вышеотмеченного факта.

Нарушения и недостатки выявлены и в хозяйственных организациях Министерства. Например, в Базовом магазине наглядных пособий штраф за простой железнодорожных вагонов на 233 рубля, без установления личности виновного, отнесен на коммерческие расходы, на 3-х работников выдана зарплата в

виде компенсации на 0,2 тыс. рублей, излишне выдана зарплата и отпускная сумма на 0,25 тыс. рублей, не производится сверка, увеличена дебиторская и кредиторская задолженность с поставщиками и заказчиками.

Недостатки имеются в хозяйственной деятельности Проектной канторы. К моменту ревизии не был составлен перспективный план пректно-изыскательских работ и, как правило, с опозданием происходит передача заказчикам проектов и смет. I5-ти совмещающим специалистам I5,4 тыс. рублей выданы без надлежащего оформления. Имеют место и другие нарушения, о которых имел суждение Комитет народного контроля Первомайского района г. Тбилиси и наложил взыскания на ответственных работников Проектной канторы.

Аналогичные нарушения и недостатки выявлены в типографии и Республиканской школе стенографии и машинописи. Школой стенографии и машинописи не принято мер по изжитию недостатков, выявленных предыдущими ревизиями, в силе чего одни и те же нарушения и недостатки повторяются из года в год.

Следует отметить, что рядом хозяйственных организаций (Проектная контора, Ремонтно-строительное управление, Библколлектор и др.) все еще не выполнен план перераспределения прибыли, полученной хозяйственными организациями в I983 году, и собственных оборотных средств.

Нарушения и недостатки выявлены также в Самтредской спецшколе, Физико-математической средней школе-интернате им. В. Комарова, Специализированной средней школе-интернате им. К. Леселидзе и в детских яслях-саде при строительстве Энгургэс. Вопрос заведующего и бухгалтера этого детского сада-ясель передан на рассмотрение Комитету народного контроля с целью возмещения причиненного ущерба.

Коллегия считает, что причины вышеотмеченных нарушений и недостатков вызваны тем, что маломощные и такие учреждения, которые должны состоять на местном (городском, районном) бюджете, находятся на республиканском бюджете.

Отдельное нецентрализованное ведение бухгалтрского учета подавляющим большинством республиканских учреждений ввиду низкой квалификации и нехватки учетных работников не позволяет осуществить замену квалифицирован-

ными бухгалтерами и внедрить комплексную механизацию в учетном деле.

Коллегия решает:

I. Обязать Управление бухгалтерского учета и отчетности (тов. Т. Багашвили) вместе с Планово-финансовым управлением разработать и в месячный срок представить предложение:

I. 1. об укрупнении централизованных бухгалтерий республиканских бюджетных учреждений;

I. 2. с помощью ЦСУ республики провести действенные мероприятия для внедрения комплексной механизации в бухгалтерском учете;

I. 3. ежегодно проводить семинарские занятия бухгалтеров с привлечением, в случае необходимости, специалистов с соответствующей оплатой;

I. 4. активизировать работу сети в части проверки состояния бухгалтерского учета и отчетности; по согласованию с другими управлениями и отделами Министерства командированных на места инспекторов, главных, школьных и старших инспекторов, инспекторов-методистов, экономистов и финансистов использовать в соответствии с их квалификацией для тематических проверок (вопрос получения, ознакомления и хранения на местах разосланных Министерством нормативных материалов; состояние оперативного учета фильмофондов фильмотеками; высылка в Министерство подтверждений на полученных в централизованном порядке, наглядных пособий, оборудования и учебных машин).

2. Планово-финансовому управлению (тов. О. Кереселидзе):

2. I. установить особый контроль над рассмотрнием и утверждением смет учреждений и организаций; строго требовать от ответственных работников учреждений надлежащие расчеты, данные о типах, квадратуре, кубатуре и т. д. зданий и сооружений, от которых зависит определение нужного количества эксплуатационных, коммунальных и хозяйственных расходов;

2. 2. рассмотреть и в месячный срок подготовить предложение о переводе ряда учреждений республиканского бюджета на местный бюджет.

3. Директорам и главным (старшим) бухгалтерам Тбилисского, Кутаисского и Телавского институтов усовершенствования учителей, Проектной конторы, Базового маг-

азина наглядных пособий, типографии и Республиканской школы стенографии и машинописи принять меры по устранению, в кратчайший срок, указанных в акте ревизии недостатков, своевременно реагировать на результаты ревизии и о проведенных мероприятиях срочно направить материалы в Контрольно-ревизионное управление Министерства финансов и в Министерство просвещения.

4. За допущенные нарушения строго предупредить директора Республиканской станции юных натуралистов В. Шубладзе, старшего бухгалтера Н. Дзоценидзе, директора Центральной станции юных техников Г. Эпиташвили, старшего бухгалтера Т. Заалишвили, директора Детско-юношеской спортивной школы фигурного катания Н. Натадзе, главного бухгалтера М. Небиеридзе, заведующего детскими яслями при строительстве Энгургэс Л. Самушия и старшего бухгалтера И. Пилия.

5. Принять к сведению, что материалы о незаконно произведенных расходах в Центральной детской экскурсионно-туристической станции рассмотрела объединенная коллегия Министерства финансов и Министерства просвещения.

Эти материалы переданы следственным органам. Главный бухгалтер централизованной бухгалтерии М. Иоселиани отстранена от занимаемой должности.

6. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление бухгалтерского учтета и отчетности.

**Председатель коллегии,**
**Министр О. Д. Кинкладзе**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის 1984 წლის 4 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და ბავშვები" ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიებმა და საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილების „მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში თეატრის როლის გაძლიერების შესახებ" შესაბამისად, თეატრალური ხელოვნების მე-10 რესპუბლიკური კვირეული „თეატრი და ბავშვები" ჩატარდეს 26 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით და მიეძღვნას ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს.

კვირეულის საიუბილეო საზეიმო გახსნა მოეწყოს 26 ნოემბერს, ქ. თბილისში, დასკვნითი საღამო ჩატარდეს 3 დეკემბერს ქ. თბილისში.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა, კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებასთან შეთანხმებით 1984 წლის 20 ოქტომბრამდე შეიმუშაოს კვირეულის ჩატარების გეგმა და უხელმძღვანელოს რესპუბლიკაში მის ორგანიზაციას.

3. სახალხო განათლების, კულტურის, თეატრალური საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებებმა, თეატრებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა უზრუნველყონ ადგილებზე თეატრალური ხელოვნების კვირეულის მაღალ დონეზე ჩატარება. გამოიყენონ იგი თეატრისა და სკოლის ურთიერთობის განსამტკიცებლად.

4. თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და ბავშვები" ჩატარებისათვის საჭირო თანხები გაღებულ იქნას წილობრივი წესით.

5. დამტკიცდეს: რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 1) და რესპუბლიკური კვირეულის ხარჯთაღრიცხვა.

6. ჟურნალების: „საბჭოთა ხელოვნება", „სკოლა და ცხოვრება", „თეატრალური მოამბე", გაზეთის „სახალხო განათლება" რედაქციებმა

ფართოდ გააშუქონ თეატრალური ხელოვნების კვირეულის მიმდინარეობა.

7. ეთხოვოს საქართველოს ტელევიზიისა და რაიდომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, გაზეთების: „ახალგაზრდა კომუნისტი", „ნორჩი ლენინელი", „მოლოდიოჟ გრუზიი" რედაქციებს გააშუქონ რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის მსვლელობა.

8. კონტროლი კვირეულის ორგანიზაციასა და ჩატარებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილებასა (ამხ. ა. შალუტაშვილი) და საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების საბავშვო და სახალხო თეატრების კაბინეტს (ამხ. ი. თუხარელი).

**კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**
**ო. ქინქლაძე**

**საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი**
**თ. ბადურაშვილი**

**საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**დ. ალექსიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

1. მ. დარჩია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. ი. გამრეკელი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე
3. დ. ალექსიძე — საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე
4. თ. შენგელია — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების სექტორის გამგე
5. ე. ზარქუა —საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
6. თ. მდივანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი
7. ლ. ჩხეიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორის მოადგილე
8. ლ. ჩიქვანაია — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
9. თ. კოლონია — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი
10. ვ. წულუკიძე — აჭარის ასსრ განათლების მინისტრი
11. ფ. ფუხაევა — სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილების გამგე
12. ა. არგუნი — აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი
13. გ. მახარაძე — აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი
14. გ. კოკოევი — სამხრეთ ოსეთის ა/ო კულტურის განყოფილების გამგე
15. თ. მარგველაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის ესთეტიკის განყოფილების გამგე
16. ნ. გურაბანიძე — ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორი
17. თ. შველიძე — გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორი
18. მ. ჩხარტიშვილი — საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციის რედაქტორი
19. რ. ძერია — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქტორი
20. თ. ხომერიკი — საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციის რედაქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკური ღონისძიებები

1. კვირეულის მონაწილეთა მიერ ვ. ი. ლენინის ძეგლის და გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინებით შემკობა.

2. მასწავლებელთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილეთა მისვლა უცნობი ჯარისკაცის საფლავზე (გამარჯვების პარკი)

3. თეატრალიზებული ზეიმი „რესპუბლიკის მოედანზე"

4. „ფრონტის ხაზზეც არ სდუმს მუზა" — შეხვედრა ომის მონაწილე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან

5. ნორჩ რეცენზენტთა კონფერენცია

6. მასწავლებელთა კონფერენცია — „თეატრის როლი მოსწავლეთა ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში"

7. ნორჩ მხატვართა გამოფენა-კონკურსი „მე რომ თეატრის მხატვარი ვიყო"

8. „პროფესიონალთა სცენაზე" სასკოლო თეატრის სპექტაკლი

9. „მასწავლებლის დღე" — რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილენი სტუმრად თბილისის თეატრებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადგილებზე ჩასატარებელი ღონისძიებები

1. თეატრალური კვირეულის მონაწილეთა მიერ შინმოუსვლელთა მემორიალების გვირგვინებით შემკობა

2. სასკოლო წრეები თეატრალურ თემაზე

3. „45 წუთი მშვენიერების სამყაროში"

4. სპექტაკლებზე კოლექტიური დასწრება და განხილვა

5. შეხვედრები თეატრის მოღვაწეებთან

6. ნორჩ მხატვართა გამოფენა

7. თეატრისადმი მიძღვნილი სტენდების, ალბომების, კედლის გაზეთების გამოფენა

8. ღია კარის დღე თეატრებში

9. „მასწავლებლის დღე"

10. „ჩემი პირველი სპექტაკლი" — ზეიმი უმცროსკლასელთათვის

11. „სოფლის მოსწავლის დღე"

12. კოლექტიური სვლა თეატრის მოღვაწეთა სახლმუზეუმებსა და თეატრის მუზეუმებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება

### სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური კონტროლის სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების მასალებისა და მიღებულ ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1984 წლის 16 ივლისის № 20-174 ბრძანების საფუძველზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური კონტროლის სამმართველომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სისტემის ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში ჩაატარა საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისა და მდგომარეობის შემოწმება, რის შედეგადაც გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები, ასე მაგალითად:

რესპუბლიკის სპეციფიკის მიხედვით არ იქნა დამუშავებული და განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებებამდე დაყვანილი ღონისძიებათა გეგმები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში საბუღალტრო აღრიცხვის შემდგომი სრულყოფისათვის, რაც სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ რესპუბლიკის სამინისტროს 1982—1983 და 1984—1985 წლებისათვის დაუმტკიცა; ბოლომდე ვერ შესრულდა ადგილებზე საბუღალტრო აღრიცხვის შემოწმებისა და პრაქტიკული დახმარების გაწევის 1983 წლის გეგმა, ხოლო იქ, სადაც ეს შემოწმებები ჩატარდა, ყველგან როდი გაფორმდა სათანადო დოკუმენტი (აფხაზეთის ასსრ), არც შემოწმების მასალები იქნა ადგილებამდე დაყვანილი მათი განზოგადებისა და რეაგირებისათვის.

არ იყო ჩატარებული სახალხო განათლების ორგანოების ცენტრალიზებული ბუღალტერიებისა და რესპუბლიკური დაწესებულებების მთავარ და უფროს ბუღალტერთა რესპუბლიკური სემინარები, მიუხედავად იმისა, რომ 1983 წლის კვარტალურ სამუშაო გეგმაში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს 2-ჯერ ჰქონდა შეტანილი ასეთი სემინარის მოწყობა.

ასევე არ არის მიმოხილვის წერილები რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული დოკუმენტური რევიზიების მასალების მიხედვით. დღემდე არ შესრულებულა 1982—1983 წლების ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებული ცენტრალიზებული ბუღალტერიების ტიპური შტატების დადგენა, მათი ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმება და პრაქტიკაში დანერგვა.

არაა შექმნილი საბაზო ცენტრალიზებული ბუღალტერიები, როგორც საბუღალტრო აღრიცხვისა და მექანიზაციის მოწინავე გამოცდილების სკოლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისტემის ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში ჯერ კიდევ არაა დანერგილი აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაცია (ქ. თბილისის კიროვის რაიონის განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერიის გარდა).

დაბალ დონეზეა აღრიცხვის მექანიზაციის საქმე რესპუბლიკურ საბიუჯეტო დაწესებულებებში. განათლების სამინისტროსა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი სამუშაოების მთავარი სამმართველოს ერთობლივი გეგმა-განრიგი 1981—1985 წლებში სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის შესახებ (7 ც. ბ.) ჯერაც არაა შესრულებული.

აღრიცხვის მდგომარეობის შემოწმება გარდა ცენტრალური აპარატისა, ჩატარდა ქ. თბილისის ლენინის რაიონის და ქ. რუსთავის სახალხო განათლების განყოფილებების ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქ. თბილისის 10 ცენტრალიზებულ ბუღალტერიაში.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ ცენტრალიზებული ბუღალტერიის ტიპური დებულების (შეთანხმებულია ფინანსთა სამინისტროსთან და დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ 1981 წ. 23. 02.) შესაბამისად არაა შედგენილი და დამტკიცებული დებულება ცალკეული ცენტრალიზებული ბუღალტერიებისათვის; ყველას არ აქვს კვარტალური და განსაკუთრებით წლიური სამუშაო გეგმები და მუშაკთა შორის მოვალეობათა განაწილება, ბუღალტერიების მუშაკები უზრუნველყოფილი არ არიან აღრიცხვის სათანადო რეგისტრებით, რის გამოც აღრიცხვას არ აწარმოებენ ინსტრუქციით ნაჩვენებ წიგნებსა და ბარათებში.

აღსანიშნავია, რომ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის შემოწმებით გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსწორების, სასკოლო დაწესებულებების ცალკეული ბუღალტერიების ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში გაერთიანების, არსებული ცენტრალიზებული ბუღალტერიების გამსხვილებისა და აღრიცხვის სამუშაოებში კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვის საკითხებზე სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა მიმდინარე წლის 13 სექტემბრის სხდომაზე (მიმდინარე წლის 6 თვეში ჩატარებული დოკუმენტური რევიზიების მასალების განხილვისას) და მიღებულ გადაწყვეტილებაში დაავალა საგეგმო-საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოებს კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, წარმოდგენა და მათი მე-4 კვარტალში განხორციელება.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველომ (ამხ. თ. ბალაშვილი) შემოწმების მასალები გააცნოს და დაიყვანოს გა-

ნათლების ყველა საბიუჯეტო დაწესებულებამდე და პირადი პასუხისმგებლობით იკისროს ცნობაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე.

2. საგეგმო-საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოებმა უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ მიმდინარე წლის 13 სექტემბრის კოლეგიის გადაწყვეტილებით მათზე დავალებული საკითხების მოგვარება (ზოგიერთი საბიუჯეტო დაწესებულების ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემა, ცენტრალიზებული ბუღალტერიების ტიპური შტატების შეთანხმება-დამტკიცება, ცენტრალიზებული ბუღალტერიების გამსხვილება და ა. შ.).

მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საბუღალტრო-აღრიცხვისა და საფინანსო კონტროლის სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს მიერ გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

— შემოწმების შედეგები ეცნობათ ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისრტოს, ავოტნომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს გასატარებელი ღონისძიებების კონკრეტული ჩვენებით (წერილი № 16/135 10.08.84 წ.).

— საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფის 1984—1985 წლების გეგმა დაეგზავნა ყველა დაწესებულებას ქართულ და რუსულ ენებზე.

— რესპუბლიკური საბიუჯეტო დაწესებულებების 1984 წლის I ნახევრის ბალანსების განხილვის შედეგების შესახებ შედგენილ და დაგზავნილ იქნა მიმოხილვითი წერილები, ხოლო ამავე პერიოდში ჩატარებული დოკუმენტური რევიზიების მასალები კოლეგიამ განიხილა მიმდინარე წლის 13 სექტემბერს და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

— მიმდინარე წლის 14 სექტემბერს ჩატარდა საბუღალტრო აღრიცხვის მუშაკების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

— საბუღალტრო აღრიცხვის შემოწმებები აგვისტო-სექტემბრის თვეებში (ადრე ჩატარებული შემოწმებების გარდა) ჩატარდა რესპუბლიკურ ათ საბიუჯეტო დაწესებულებაში და ორ სამეურნეო ორგანიზაციაში.

ზემოაღნიშნულის გარდა სახალხო განათლების ორგანოებს დაეგზავნათ ინსტრუქციული წერილები ფილმოფონდების აღრიცხვისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოლმოთეკების მუშაობის კონტროლის წარმოებაზე, საბუღალტრო აღრიცხვაში კომპლექსური (და ცალკეული) მექანიზაციის დანერგვის, საბაზისო-საჩვენებელი ცენტრალიზებული ბუღალტერის შექმნის თაობაზე.

საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებაში გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის მიღებული ღონისძიებების შესრულება მოხსენდეს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის ნოემბრის I დეკადაში.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## О материалах проверки, проведенной Управлением бухгалтерского учета и финансового контроля Минпроса СССР и мерах, принятых по устранению имеющихся недостатков

**11 октября 1984 года**

На основании приказа Минпроса СССР от 16 июля 1984 года № 20-174 Управлением бухгалтерского учета и финансового контроля Минпроса СССР в централизованной бухгалтерии центрального аппаарата Министерства просвещения Грузинской ССР и централизованных бухгалтериях системы была проверена организация бухгалтерского учета, в результате чего выявлено ряд недостатков. Например:

— планы мероприятий по совершенствованию бухгалтерского учета в системе Министерства просвещения, утвержденные Минпросом СССР на 1982—1983 и 1984—1985 годы, не переработаны в соответствии со спецификой республики и не доведены до районных и городских отделов народного образования, недовыполнен план проверки на местах бухгалтерского учета и оказания практической помощи на 1983 год, однако там, где проведены проверки, не везде были оформлены надлежащим образом соответствующие документы (Абхазская АССР) и материалы проверки не доведены до мест для их обобщения и реагирования:

— не проведены республиканские семинары главных и старших бухгалтеров централизованных бухгалтерий органов народного образования и учреждений республиканского подчинения несмотря на то, что в квартальном плане работ на 1983 год Управлением бухгалтерского учета и отчетности дважды вносился вопрос проведения такого семинара;

— также не имеются обзорные письма по материалам документальных ревизий, проведенных Министерством финансов республики;

— по сей день не утверждены, не согласованы с Минфином республики и не внедрены в практику типовые штаты централизованных бухгалтерий, предусмотренные планом мероприятий на 1982—1983 годы;

— не созданы базовые централизованные бухгалтерии, как

школы передового опыта механизированного бухгалтерского учета;

— в централизованных бухгалтериях системы все еще не внедрена комплексная механизация учета (кроме централизованной бухгалтерии отдела народного образования Кировского района г. Тбилиси);

— на низком уровне поставлено дело механизированного учета в республиканских бюджетных учрежедниях; все еще не выполнен совместный план-график Министерства просвещения и Главного управления вычислительных работ ЦСУ на 1981—1985 годы по внедрению комплексной механизации в централизованных бухгалтериях городских и районных отделов народного образования;

— проверка состояния учета кроме централизованной бухгалтерии центрального аппарата, проведена в централизованных бухгалтериях отделов народного образования Ленинского района г. Тбилиси и г. Рустави, а также в централизованных бухгалтериях 10-ти учреждений республиканского подчинения г. Тбилиси.

Проверкой выявлено, что в соответствии с типовым Положением о централизованных бухгалтериях (согласовано с Минфином и утверждено Минпросом республики 23 февраля 1981 года) не составлены и не утверждены Положния для отдельных централизованных бухгалтерий; не во всёх централизованных бухгалтериях имеются квартальные и, особенно, годовые планы работы, а также функциональное распределение обязанностей среди работников, работники не обеспечены надлежащими регистрами учета, в виду чего учет производят не по предусмотренным инструкцией книгам и карточкам. Следует отметить, что Министерство просвещения на заседании коллегии 13 сентября с. г. обсудила вопросы устранения недостатков, выявленных проверкой состояния бухгалтерского учета, объединения отдельных бухгалтерий школьных учреждений в централизованные бухгалтерии, укрупнения имеющихся централизованных бухгалтерий и широкого внедрения комплексной механизации в учетных операциях (при рассмотрении материалов документальных ревизий, проведенных за 6 месяцев текущего года) и в принятом решении поручило Планово-финансовому управлению и Управлению бухгалтерского учета и

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

отчетности разработать и представить конкретные мероприятия и осуществить их в 4-м квартале.

Коллегия р е ш а е т:

I. Поручить Управлению бухгалтерского учета и отчетности (тов. Т. Багашвили) ознакомить всех бюджетных учреждений с отставаниями и недостатками, отмеченными в справке о проверке и личной ответственностью исправить эти недостатки до I5 ноября текущего года.

2. Планово-финансовому управлению и Управлению бухгалтерского учета и отчетности обеспечить в кратчайший срок упорядочение вопросов, порученных им решением коллгии от I0 сентября с. г. (перевод отдельных бюджетных учреждений на местный бюджет, согласование и утверждение типовых штатов централизованных бухгалтерий, укрупнение централизованных бухгалтерий и т. д.).

Принять к сведению, что с целью искоренения недостатков, выявленных в результате проверки, проведенной Управлением бухгалтерского учета и финансового контроля Минпроса СССР, соответствующим управлением Министерства просвещения Грузинской ССР проведен ряд мероприятий:

— о результатах проверки информированы органы народного образования автономной республики, автономной области, городов и районов республики с указанием проведения конкретных мер (письмо № I6—I35 от I0 августа 1984 года);

— план совершенствования бухгалтерского учета на 1984—1985 год разослан всем учреждениям на грузинском и русском языках;

— составлены и разосланы обзорные письма по итогам рассмотрения балансов республиканских бюджетных учреждений за I полугодие 1984 года, материалы же документальных ревизий, проведенных в этот же период рассмотрены коллегией 13 сентября и принято соответствующее решение;

— I4 сентября с. г. проведено республиканское совещание-семинар работников бухгалтерского учета;

— в августе и сентябре месяцах проведены проверки состояния бухгалтерского учета (помимо проведенных раннее проверок) в I0-ти республиканских бюджетных учреждениях и в двух хозяйственных организациях;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— кроме вышеперечисленного органам народного образования разосланы инструктивные письма о ведении учета фильмофондов и контроля работы фильмотек, внедрении комплексной (и отдельной) механизации в бухгалтерский учет и создании базово-показательной централизованной бухгалтерии.

О выполнении мер, принятых для устранения недостатков, выявленных в бухгалтерском учете и отчетности доложить Минпросу СССР в I декаде ноября с. г.

**Председатель коллегии,**
**Министр О. Д. Кинкладзе**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება

### ახალი 1984—1985 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელი კადრებით უზრუნველყოფის შესახებ

აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ერთი ნაწილის მიერ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „1979—1980 სასწავლო წლისათვის ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ" გათვალისწინებული მოთხოვნები. კვლავ გრძელდება სასწავლო წლის დაწყების შემდეგ ხელმძღვანელ მუშაკთა დანიშვნის მანკიერი პრაქტიკა. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან 28 სექტემბრამდე რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში დაინიშნა 61 ხელმძღვანელი მუშაკი.

ქ. თბილისში — 14 (95-ე, 36-ე, 26-ე, 29-ე, 151-ე, 170-ე, 172-ე, საღამოს 27-ე და 31-ე საშუალო სკოლების დირექტორები, 152-ე, მე-11, 148-ე, ვაზისუბნის მე-2 და ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონების მშენებარე ბაგა-ბაღების გამგეები); აფხაზეთის ასსრ—4 (გუდაუთის რაიონის დურიფშის, სოხუმის რაიონის ეშერის და დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლების დირექტორები); აჭარის ასსრ—4 (ქედის რაიონის 1 მაისის და დოლოგნის, ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლების დირექტორები, ქ. ბათუმის მშენებარე ბაგა-ბაღის გამგე); ქ. რუსთავში—1 (საბავშვო სახლის დირექტორი); წყალტუბოში—3 (ოფურჩხეთის, ცხუნკერისა და ფარცხანაყანევის საშუალო სკოლების); ქ. ქუთაისში — 3 (27-ე, მე-12, საშუალო სკოლები, ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი); მახარაძეში — 4 (დვაბზუს, ვაკიჯვრის, მერიის, კონჭკათის საშუალო სკოლები); ხაშურში—1 (ცხრამუხის საშუალო); გორის რაიონში — 1(ზერტის საშუალო); წულუკიძეში — 2 (გოჩა ჯიხაიშისა და გუბის საშუალო სკოლები); ყაზბეგში —1 (დაბა ყაზბეგის საშუალო სკოლა); ასპინძაში — 2 (დაბა ასპინძისა და ტოლოშის საშუალო სკოლები); დუშეთში — 1 (ლაფანაანთკარის საშუალო სკოლა); წითელწყაროში — 1 (წითელწყაროს მე-2 საშუალო სკოლა); ვანში — 1 (ძულუხის საშუალო სკოლა); ბოლნისში — 2 (კოჩულოსა და დარბაზის საშუალო სკოლები); გურჯაანში — 1 (ვაზისუბნის ბაგა-ბაღი); თეთრ წყაროში — 1 (ორბეთის საშუალო სკოლა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალქალაქში — 3, ბუგაშენისა და ბარალეთის საშუალო სკოლები, № 2 ბაგა-ბაღი); მაიაკოვსკში — 1 (რაიონული დაუსწრებელი სკოლა); ლანჩხუთში — 1 (აცანის საშუალო სკოლა); გეგეჭკორში — 1 (დღის გახანგრძლივებული სკოლა); ახალციხეში — 3 (ახალციხის მე-4, წინ-უბნისა და წყრუთის საშუალო სკოლები); თერჯოლაში — 1 (რაიონული დაუსწრებელი სკოლა); წალენჯიხაში — 1 (დღის საშუალო სკოლა); სიღნაღში — 1 (ბოდბის საშუალო სკოლა); მარნეულის რაიონში— 1 (არაპლინის საშუალო სკოლა); წალკაში — 1 (ბაშკოვის საშუალო სკოლა).

ზოგიერთი ზემოთჩამოთვლილი რაიონის სკოლებში (წულუკიძის რაიონის გუბის, სიღნაღის რაიონის ბოდბის, ხაშურის რაიონის ცხრამუხის, წალკის რაიონის ლივადის, ლანჩხუთის რაიონის აცანის საშუალო სკოლები) ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის ბოლოს გათავისუფლდნენ დირექტორები, მაგრამ აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებებმა დროულად ვერ უზრუნველყვეს სათანადო კანდიდატურების შერჩევა და მათი სამინისტროში დასამტკიცებლად წარმოდგენა.

ზოგიერთ რაიონში კი დღემდე ჭიანურდება ხელმძღვანელ მუშაკთა შერჩევა.

ამა წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში 15 ადგილია ვაკანტური. ორჯონიკიძის რაიონის მოლითის, ქარელის რაიონის რუისის 1-ლი, გორის რაიონის სვენეთის, ბოლნისის რაიონის მუშევანის, გარდაბნის რაიონის თელეთის, მცხეთის რაიონის გალავნის, ახალციხის რაიონის ვალეს, ქ. მარნეულის 1-ლი აზერბაიჯანული, დმანისის რაიონის ბოსლების, ქ. ქუთაისის მე-18 და 26-ე საშუალო სკოლების დირექტორების თანამდებობები, გარდაბნის რაიონის მუღანლოს, აბაშის მე-2, ლაგოდეხის მე-4, ყაზბეგის რაიონის გერგეტის ბაგა-ბაღების ხელმძღვანელთა ადგილები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებისა და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ყურადღებას მიიპყრობს ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებებზე და თვლის, რომ ყოველივე ეს განპირობებულია იმით, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით „ხელმძღვანელი პედაგოგიური კადრების რეზერვის შერჩევის, დანიშვნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მდგომარეობის შესახებ" გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებების დროულად დაკომპლექტებაზე. ასე, მაგალითად, მცხეთის რაიონიდან სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა რეზერვის გადასამზადებელი

კურსები გაიარა 5 მუშაკმა, დაწინაურებულ იქნა მხოლოდ 1, ხოლო გალავნის საშუალო სკოლის დირექტორის ადგილი ვაკანტურია მიმდინარე წლის 13 ივლისიდან და კანდიდატურა დღემდე ვერ შეირჩა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ უზრუნველყონ ხელმძღვანელი კადრებით სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების დროული დაკომპლექტება და აღკვეთონ სკოლის დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი თანამდებობების გაჭიანურებული ვაკანსიების ფაქტები.

2. დაევალოს ქ. ქუთაისის, ორჯონიკიძის, ქარელის, გორის, ბოლნისის, გარდაბნის, მცხეთის, ახალციხის, მარნეულის, დმანისის, აბაშის, ლაგოდეხის, ყაზბეგის სახალხო განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. შ. ღონღაძე, ვ. ბაქრაძე, ა. ჩხეიძე, ე. გობეჯიშვილი, ზ. ზაქარეიშვილი, ე. ხარაბაძე, ე. კოპაძე, გ. ნაბიევა, მ. გულიევი, თ. ფირცხალაშვილი, ა. ცანავა, ვ. ხმალაძე, ი. ჩქარეული) დაუყოვნებლივ შეარჩიონ არსებულ ვაკანტურ ადგილებზე დასანიშნად შესაფერისი კანდიდატურები და წარმოადგინონ ისინი განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოში. ამასთან, გაფრთხილებულ იქნან, რომ მომავალში არ დაუშვან მსგავსი დარღვევები და ნაკლოვანებები.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროს კოლეგიის 1984 წლის 11 ოქტომბ-
რის გადაწყვეტილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## რესპუბლიკის სოფლის სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების დათვალიერების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების რესპუბლიკური დათვალიერება ეძღვნება სახალხო განათლების დარგში სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების ისტორიული დადგენილებების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების ცხოვრებაში განხორციელებას.

რესპუბლიკის სოფლის სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების რესპუბლიკური დათვალიერება მოწოდებულია გააუმჯობესოს სოფლად მომუშავე განათლების მუშაკთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად.

### დათვალიერების მიზანი

რესპუბლიკის სოფლის სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკური დათვალიერება მიზნად ისახავს გაშალოს ამ მიმართებით სოციალისტური შეჯიბრება რაიონებსა და ქალაქებს შორის.

დათვალიერების მსვლელობის დროს საჭიროა შესწავლილ იქნას სახალხო განათლების ორგანოების, პროფკავშირის კომიტეტების, კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის პრაქტიკა სოფლის სასწავლო დაწესებულებების პედაგოგთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბოლო წლების დადგენილებები, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა ახალ შესაძლებლობებს იძლევიან სოფლის პედაგოგებისათვის ინდივიდუალური (საკუთარი, კომუნალური) ბინების,

მასწავლებელთა სახლების მშენებლობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკური დათვალიერების ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიურ მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

— სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებით მასწავლებელთა სახლების სრულყოფილი სახით ექსპლოატაციაში გადაცემა;

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ საინიციატივო წესით მასწავლებელთა სახლებისა დ ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დაგეგმვა და ექსპლოატაციაში დროულად გადაცემა;

— ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ მასწავლებელთათვის მიწის ნაკვეთების, სამშენებლო მასალებისა და სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყოფა;

— საკუთარ და კომუნალურ ბინებში, მასწავლებელთა სახლებში მცხოვრებ მასწავლებელთა და განათლების დარგის მუშაკთა საცხოვრებელი პირობების შესწავლა და მათი კეთილმოწყობისათვის ზრუნვა;

— სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურებით (გათბობა, განათება), მხატვრული და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფა;

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სოფლის მასწავლებელთათვის კვების პროდუქტების სახელმწიფო ფასებში მიყიდვა და ზოგიერთი დეფიციტური სამრეწველო საქონლით უზრუნველყოფა.

## დათვალიერების პირობები

დათვალიერება ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სარაიონო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ 1985 წლის აპრილ-მაისში. შედეგები შეჯამდება 1985 წლის ივნისში.

დათვალიერებაში მონაწილეობენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სარაიონო, სადაბო

და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული (საქალაქო) კომიტეტები.

## დათვალიერების ხელმძღვანელობა

დათვალიერებას ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ო. ვ. დოლიძე — თავმჯდომარე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
2. თ. მ. ვაჩნაძე — თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

წევრები:

1. ა. დ. ვაჩნაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი
2. ბ. ე. აფხაზავა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი
3. გ. მ. ვარდოსანიძე — საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი
4. ნ. ვ. სალუქვაძე — საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის ინსტრუქტორი
5. ა. ალავერდაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე

## დათვალიერება ტარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი — მუშაკთა საცხოვრებელი სახლების, ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინებისა და საყოფაცხოვრებო პირობების დათვალიერება; ვადა — 1985 წლის მარტი

დათვალიერებას ატარებენ რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებები და დარგობრივი პროფკავშირის რაიკომები, რომლებიც გამარჯვებულებს წარუდგენენ დათვალიერების რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს.

II ეტაპი — რესპუბლიკური დათვალიერების შეჯამება; ვადა 1985 წლის ივნისი

დათვალიერებას ატარებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ეცნობა რაიონებიდან (ქალაქებიდან) წარმოდგენილ ანგარიშებს და სწავლობს ადგილებზე გამარჯვებულთა საქმიანობას; აჯამებს რესპუბლიკური დათვალიერების საბოლოო შედეგებს და გამარჯვებულთა შორის ანაწილებს საპრიზო ადგილებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წახალისება

რიონი, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებს, დაჯილდოვდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, დიპლომით და ფასიანი საჩუქრებით;

რაიონები, რომლებიც მეორე ან მესამე ადგილს დაიკავებენ, ჯილდოვდებიან საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**
**ო. ქინქლაძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე**
**დ. იოსელიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 11 ოქტომბრის დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინეს:

1. სპორტის ტექნიკურ სახეობებში საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 1984 წლის ზაფხულში ჩატარებული შეჯიბრებების შესახებ დამტკიცდეს.

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე 1985 წლის ზაფხულში მოსწავლეთა შორის ჩატარდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში.

3. შეჯიბრებები ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

ა) ნორჩ რადიოსპორტსმენთა მე-18 რესპუბლიკური შეჯიბრება — 1985 წლის 17-დან 22 ივნისამდე;

ბ) ნორჩ ავტომოდელისტთა მე-17 რესპუბლიკური შეჯიბრება — 23-დან 25 ივნისამდე;

გ) ნორჩ გემთმოდელისტთა მე-20 რესპუბლიკური შეჯიბრება — 26-დან 30 ივნისამდე;

დ) ნორჩ ავიამოდელისტთა 53-ე რესპუბლიკური შეჯიბრება — 5-დან 10 ივლისის ჩათვლით;

ე) ნორჩ რაკეტამოდელისტთა მე-11 რესპუბლიკური შეჯიბრება — 11-12 ივლისს.

4. სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

მ. დარჩია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

მ. ხაჩიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

თ. ჩხაიძე — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ეპიტაშვილი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

**საორგანიზაციო კომიტეტის წევრები:**

ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
ა. ალავერდაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
ა. ვაშაკიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველოს უფროსი
ვ. მიცკევიჩი — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის საწყლოსნო სახეობათა განყოფილების უფროსი
ნ. სელივანოვი — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის უფროსი რადიოსახეობაში
გ. ლაფაჩი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს ინსპექტორი
ვ. ნაყოფია — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ავიასპორტკლუბის უფროსი
ლ. ჯაში — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორის მოადგილე სასწავლო-მეთოდურ დარგში
ნ. გაგუა — საქართველოს სსრ დოსააფის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე

5. სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების დებულებები შესწორებებით დამტკიცდეს.

6. სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა უხელმძღვანელოს შეჯიბრებების მომზადებისა და ჩატარების საქმეს.

7. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. გ. ეპიტაშვილი):

ა) დროულად ჩაატროს მოსამზადებელი სამუშაოები და სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები უზრუნველყოს საჭირო მასალებით;

ბ) შეჯიბრებების მომზადების საქმეში სათანადო დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ხელმძღვანელებს;

გ) 1984 წლის 1 დეკემბრამდე შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მომარაგების განყოფილებას განაცხადი 1985 წლისათვის სპორტის ტექნი-

კურ სახეობათა წრეებისათვის აუცილებელი მასალებისა და ძრავების გამოყოფის შესახებ;

დ) მოამზადოს და 1984—1985 სასწავლო წლის განმავლობაში უზრუნველყოს სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები სათანადო რაოდენობის მეთოდური მასალებით, აღწერილობებით და პროგრამებით.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ქ. თბილისის განათლების სამმართველოს უფროსმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა:

ა) რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა დირექტორებსა და ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებს გააცნონ მომავალ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის პირობები და შეჯიბრებებში მოსწავლეთა მასობრივად მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით დასახონ და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებები;

ბ) შეჯიბრებების ჩასატარებლად ზუსტად იხელმძღვანელონ არსებული დებულებებით;

გ) ადგილებზე ჩაატარონ შეჯიბრებები, უზრუნველყონ სათანადოდ მომზადებული ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და ინდივიდუალურ მონაწილეთა შერჩევა რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის;

დ) მიიღონ ქმედითი ზომები, რათა სკოლების უმრავლესობაში, განსაკუთრებით კი სკოლისგარეშე დაწესებულებებში ჩამოაყალიბონ სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ ნაყოფიერ მუშაობას;

ე) რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის მზადება, როგორც წესი, დაიწყონ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისიდან.

9. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო, საქალაქო და რაიონული სადგურების დირექტორებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ნორმალური მუშაობისათვის და მათი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების ამოცანებს.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1985 წლის ბიუჯეტში სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისათვის პროგრამების, მეთოდური მასალების შედგენისა და ბეჭდვისათვის საჭირო თანხა.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) და საქართველოს სსრ

დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მომარაგების განყოფილებამ (ამხ. ო. ღაჭავა):

ა) სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეებს გამოუყონ საჭირო რაოდენობის მასალები და აპარატურა წრეების მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის;

ბ) სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნათა მიხედვით გამოუყონ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს მეთოდური მასალების, დებულებების, პროგრამებისა და ნახაზების დასაბეჭდად 500 კგ. ქაღალდი და რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისათვის საჭირო მასალები და ინვენტარი.

12. გაზეთების „სახალხო განათლება", „ახალგაზრდა კომუნისტი", „მოლოდიოჟ გრუზიი", „ნორჩი ლენინელი", ჟურნალების „სკოლა და ცხოვრება", „პიონერი" და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეობრივი მუშაობის, შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების საკითხები.

13. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი) და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ განყოფილებას (ამხ. თ. ჩხაიძე).

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი**
**ვ. ლორთქიფანიძე**

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**
**ო. ქინქლაძე**

**საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე**
**გ. ნანეიშვილი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება

### საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ დამზადებული ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვის ორგანიზაციის პრაქტიკის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა მიერ დამზადებული ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვის საინტერესო გამოცდილება დააგროვეს ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, რომლებმაც ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად რაიონის წარმოება-დაწესებულებათა დახმარებით შექმნეს რეალური პირობები მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომისათვის. მოიძებნა მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის საინტერესო ფორმა — გამოფენა-გაყიდვის ორგანიზაცია, რომლის დროსაც სკოლებს საშუალება მიეცათ წარმოეჩინათ მათი შრომის შედეგები. გამოფენა-გაყიდვაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი მოსწავლეების მიერ დამზადებული ნივთები. საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები, ნაქსოვები, ნაქარგები, ჭედური და ხეზე კვეთის ნიმუშები და ა. შ.

გამოფენა-გაყიდვამ ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია და საერთო მხარდაჭერა ჰპოვა. შესაძლებელი გახდა ფართო მოხმარების საგნების განსაზღვრა, მომხმარებელთა სურვილებისა და წინადადებების გათვალისწინება. ასეთმა პრაქტიკამ ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობაში შრომითი ენთუზიაზმის ზრდას.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის პრაქტიკა მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის პროცესში დამზადებული ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვის ორგანიზაციისათვის.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს შეისწავლონ, განავითარონ და დანერგონ მუშაობის ასეთი გამოცდილება.

3. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების კომიტეტის წინაშე განსაზღვროს მოსწავლეთა მიერ დამზადებული პროდუქციის ფასები.

ეროვნული

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს განიხილოს მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქციის სარეალიზაციოდ არსებული საბავშვო მაღაზიების გამოყენების, მაღაზია-სალონების გახსნის შესაძლებლობის საკითხი.

5. დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) მიიღოს ზომები რესპუბლიკურ პედაგოგიურ და ახალგაზრდულ პრესაში, ასევე ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ხაზით მოსწავლეთა მიერ დამზადებული ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვის პრაქტიკის ფართო პროპაგანდისათვის.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი Ო. ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ**

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება

### ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-20 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია გაეცნენ რა გეროგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-20 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებს, აღნიშნავენ, რომ ფოტოკონკურსმა და განსაკუთრებით მისმა შემაჯამებელმა გამოფენამ მრავალი ნიჭიერი მოსწავლე გამოავლინა. ფოტოკონკურსი რესპუბლიკური მნიშვნელობის დიდი მასობრივი ღონისძიება იყო, რომელმაც ხელი შეუწყო საწრეო მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას. ფოტოკონკურსზე წარმოდგენილი შინაარსიანი და სრულყოფილად დამუშავებული სურათები მეტყველებენ მოსწავლეთა ფოტოხელოვნების დონის ზრდაზე, მათი გემოვნების დახვეწაზე.

ნორჩ ფოტომოყვარულთა რაიონულ, საქალაქო და საოლქო გამოფენებზე წარმოდგენილი სურათებიდან ჟიურის მიერ შერჩეული და საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე გადმოგზავნილი 641 სურათიდან შემაჯამებელ გამოფენაზე ექსპონირებული იქნა 301 სურათი.

წარმოდგენილი ფოტოსურათები ასახავენ ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, მოსწავლეთა სწავლის, შრომისა და დასვენების ცალკეულ მომენტებს, პეიზაჟებს და სხვ.

კონკურსში აქტიური მონაწილეობით გამოირჩეოდნენ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. ქუთაისის, ჭიათურის, ფოთისა და ტყიბულის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, ქუთაისის, ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, საგარეჯოს, სამტრედიისა და ორჯონიკიძის რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლების ფოტომოყვარულთა წრეები.

რესპუბლიკური გამოფენის მრავალრიცხოვან დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურეს ფოტოსურათებმა: „გადამწყვეტი პარტიის წინ" (ისაევი ვალერი — ქ. თბილისის 136-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი), „მაღლა მზისკენ" (ნასიძე ზაზა — ა/კ რკინიგზის გურჯაანის მე-3 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი), „საიდუმლოდ" (ხაზალია ლაშა — ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-4 კლასი), „ბაბუას პორტრეტი" (ხიზანიშვილი ნიკო — ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-5 კლასი),

„დედის ალერსი“ (ჯორჯიკია ირაკლი — ფოთის მე-16 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი), „პიონერული ფიცი“ (გუმბერიძე არჩილი — ქ. ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი), „ნატურმორტი“ (ცხოვრებოვა ნატალია — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი), „პორტრეტი“ (კოპალიანი გოჩა—წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი), „ჩემი ბებია“ (კოკალაძე გურამი—ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი), „შეხვედრა ანატოლი კარპოვთან“ (ქორქოლიანი მიხეილი — წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა, მე-6 კლასი) და სხვ.

კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ აფხაზეთის ასსრ და გორის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს, აგრეთვე ადიგენის, ახმეტის, ბოლნისის, გეგეჭკორის , ვანის, კასპის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მარნეულის, მაიაკოვსკის, მესტიის და ზოგიერთი სხვა რაიონის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს.

ჟიურიმ პირველი პრემიით დააჯილდოვა 5 მოსწავლე. მეორე პრემიით — 10, მესამე პრემიით— 25 მოსწავლე, სიგელით -- 19 მოსწავლე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-20 რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი კონკურსში გამარჯვებულ ფოტომოყვარულთა, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებული ფოტოწრეებისა და წრის ხელმძღვანელების დაჯილდოების შესახებ დამტკიცდეს (დანართი 1-ლი, მე-2, მე-3).

2. 1985 წლის 20 მაისამდე გამოცხადდეს ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-20 რესპუბლიკური კონკურსი და მიეძღვნას იგი ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავს.

3. კონკურსის ჩატარების დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

4. ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

მ. დარჩია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ო. თურქია — „საქინფორმის“ ფოტოინფორმაციის მთავარი რედაქტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ა. ალავერდაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

გ. ეპიტაშვილი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

წევრები:

ი. ცერცვაძე — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორი

გ. ვარდოსანიძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანი

თ. ჟღენტი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

ა. მამასახლისი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოცენტი

პ. ნაცვლიშვილი — საქართველოს რადიოს ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციის მთავარი რედაქტორი

ვ. რუსეცკი — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" საილუსტრაციო განყოფილების გამგე

ვ. გენგიური — გაზეთ „კომუნისტის" ფოტორეპორტიორი

ა. გურასაშვილი — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" პასუხისმგებელი მდივანი

ს. ვართანესოვი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტოლაბორატორიის გამგე

5. დაევალოს ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს:

ა) უზრუნველყოს რაიონები საჭირო რაოდენობის საინსტრუქციო მასალებითა და დებულებებით;

ბ) ადგილებზე დახმარების გაწევის მიზნით მიავლინოს სპეციალისტები იმ ქალაქებსა და რაიონებში, რომლებსაც კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) შექმნან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსის ხელშემწყობი კომისიები, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციებისა და მშობელთა კომიტეტების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ბ) გაშალონ ადგილებზე მოსამზადებელი მუშაობა და კონკურსის

ჩატარების პირობები დაიყვანონ ყველა სკოლამდე და სკოლისგარეშე დაწესებულებამდე;

გ) 1985 წლის 20 აპრილამდე მოაწყონ ნორჩ ფოტომოყვარულთა საოლქო, საქალაქო და რაიონული გამოფენები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მოთხოვნის შესაბამისად, რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს გამოუყოს ფოტოაპარატები და ფოტომასალები.

8. გაზეთებმა „სახალხო განათლება“ (ამხ. ნ. შველიძე), „ახალგაზრდა კომუნისტი“ (ამხ. რ. ბალახრივაძე), „მოლოდიოჟ გრუზიი“ (ამხ. ვ. ანასტასიდი). „ნორჩი ლენინელი“ (ამხ. ი. ცერცვაძე); ჟურნალებმა „სკოლა და ცხოვრება“ (ამხ. რ. ძერია), „პიონერი“ (ამხ. ბ. შელია), საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა (ამხ. ამხ. ე. მიქაბერიძე, რ. გამსახურდია). პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ (ამხ. ა. ალავერდაშვილი) კონტროლი დააწესონ ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი**
**ვ. ლორთქიფანიძე**

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**
**ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-20 რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილე მოსწავლეებისა, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით

### პირველი პრემიით (I ხარისხის სიგელითა და 15 მანეთის ფასიანი საჩუქრით):

1. ისაევი ვალერი — ქ. თბილისის 136-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
2. ხაზალია ლაშა — ქ. ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-4 კლასი
3. ნასიძე ზაზა — ა/კ რკინიგზის გურჯაანის მე-3 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
4. ხიზანიშვილი ნიკო — ქ. ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-5 კლასი
5. ჯორჯიკია ირაკლი — ქ. ფოთის მე-16 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

### მეორე პრემიით (II ხარისხის სიგელითა და 10 მანეთის ფასიანი საჩუქრით):

1. გუმბერიძე არჩილი — ქ. ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
2. ცხოვრებოვა ნატალია — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
3. კოპალიანი გოჩა — წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
4. კუტივაძე ხვიჩა — ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
5. კოკოლაძე გურამი — ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
6. ბოლქვაძე თემური — ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, მე-5 კლასი
7. ჟორჟოლიანი მიხეილი — ქ. წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
8. გოგუაძე ტატა — ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლა, მე-3 კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მაჭარაშვილი თემური — ქ. ჭიათურის მე-10 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

10. ტვილდიანი ლაშა — წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

**მესამე პრემიით (III ხარისხის სიგელითა და 5 მანეთის ფასიანი საჩუქრით):**

1. შეწირული კახა — ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

2. ლუაშვილი ვანო — ა/კ რკინიგზის გურჯაანის მე-3 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

3. ქაჯაევი ალიკ — ქ. ცხინვალის მე-11 საშუალო სკოლა. მე-5 კლასი

4. გინჟული იური — ქ. თბილისის 136-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

5. თიბილოვი ალანი — ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-5 კლასი

6. კაპანაძე გელა — ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

7. ალბოროვი ალანი — ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა. მე-9 კლასი

8. პოლტოჟორსკი ირაკლი — ქ. ტყიბულის მე-6 საშუალო სკოლა. მე-6 კლასი

9. რომანაძე კახა — ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა. მე-7 კლასი

10. ორიაშვილი სოსო — ა/კ რკინიგზის გურჯაანის მე-3 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

11. გოგუაძე ნათია — ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

12. კახიანი ალექსანდრე — ქ. ფოთის მე-10 საშუალო სკოლა. მე-7 კლასი

13. კასაბიევა სვეტლანა — ქ. ცხინვალის მე-11 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

14. მიქაბერიძე ირმა — ა/კ რკინიგზის ორჯონიკიძის მე-10 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

15. ლაზარენკო რომა — ქ. ბათუმის მე-20 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

16. არზუმანიანი სასუნი — ბოგდანოვკის რუსული საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

17. გოგსაძე ციცინო — ამბროლაურის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

18. შამვიაშვილი ვეფხია — თელავის რაიონის კონდოლის საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
19. ქორჩუა ზაალი — ქ. ზუგდიდის მე-11 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
20. კალანდაძე გელა — ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
21. მესხიძე მარგალიტა — ახალციხის მე-2 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
22. ტვერდოხლები ევგენი — საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
23. კალმიკოვი ვასილი — ბოგდანოვკის რაიონის გორელოვკის საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
24. ლოლომაძე კობა — ქ. ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
25. ყულუმბეგაშვილი ელგუჯა — ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

სიგელით:

1. ბურლიაევა ირინა — ქ. ბათუმის მე-20 საშუალო სკოლა, მე-5 კლასი
2. ჭყონია მალხაზი — ქ. ბათუმის 28-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
3. ნოვოპაშინი გრიგოლი — ქ. ფოთის მე-4 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
4. ანჯაფარიძე რამაზი — ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
5. ვეფხვაძე ვეფხია — ქ. ჭიათურის მე-9 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
6. სამსონიძე გია — ქ. ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
7. თურმანიძე იოსები — ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
8. ჩალაევა ნატაშა — ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
9. გრესი ინესა — ქ. რუსთავის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
10. ბეგიაშვილი გიორგი — სიღნაღის საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
11. ჭანტურია სულხანი — დაბა ორჯონიკიძის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-4 კლასი
12. მერკვილაძე ლევანი — ქ. ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

13. დათუაშვილი ხვიჩა — ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

14. გონჩაროვა ზინაიდა — ბოგდანოვკის რაიონის გორელოვკის საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

15. ჩეხოევი ვადიმი — ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

16. მურუსიძე ეკა — ამბროლაურის საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

17. ბობოხიძე მამუკა — წულუკიძის რაიონის ივანდიდის საშუალო სკოლა, მე-5 კლასი

18. ჟორჟოლიანი მამუკა — ქ. წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა, მე-5 კლასი

19. ჯავახოვი ალექსანდრე — ქ. თბილისის 32-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 2

# ს ი ა

## სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ფოტომოყვარულთა წრეებისა, რომლებიც ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-20 რესპუბლიკურ კონკურსში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ

### I ხარიისხის სიგელით

1. აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის ფოტომოყვარულთა წრე
2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტომოყვარულთა წრე
3. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე
4. სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე

### II ხარისხის სიგელით:

1. გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე
2. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე

### III ხარისხის სიგელით:

1. სამტრედიის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე
2. საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრე
3. თელავის რაიონის სოფელ კონდოლის საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრე
4. ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე
5. ქ. ცხინვალის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრე

დანართი 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების იმ მუშაკებისა, რომლებიც ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-20 რესპუბლიკურ კონკურსში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისა და აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ

### სიგელებით:

1. ბეციაშვილი ბესიკი — გურჯაანის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
2. ვართანესოვი სურენ — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტოლაბორატორიის გამგე
3. თათრიშვილი ლილი — საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
4. ლოლომაძე გიული — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
5. ბილიხოძე ლერი — აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
6. შეხრილაძე თემური — ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ნორჩ ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
7. ჩოჩიევი ა. გ. — ქ. ცხინვალის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
8. ყუფუნია იროდი — ქ. ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
9. ბაგაევი ო. — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
10. პატარიძე ნუგზარი — ქ. სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
11. ახალმოსულიშვილი გიორგი — თელავის რაიონის კონდოლის საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი

„დამტკიცებულია“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 11 ოქტომბრის ერთობლივი გადაწყვეტილებით

# ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის დებულება

ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსი ტარდება 1985 წლის 20 მაისამდე

## კონკურსის მიზანია:

ა) ფოტოწრეების ქსელის გაფართოება და ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესება;

ბ) მოსწავლეთა შორის ფოტოგრაფიისადმი ინტერესის გაძლიერება, ფოტოგრაფიული კულტურის ამაღლება, ნიჭიერ ფოტომოყვარულთა გამოვლენა და ფოტოსაქმეში მოსწავლეთა ფართო მასების ჩაბმა.

## კონკურსის მონაწილენი

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების მოსწავლეებს, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებს, სკოლისგარეშე დაწესებულებათა საქმიანობაში ჩაბმულ მოსწავლეებს და ცალკეულ ფოტოწრეებს.

## კონკურსში მონაწილეობის პირობები

კონკურსზე მიიღება მხოლოდ შავ-თეთრი ფოტონეგატივები 9×12 სმ ზომის საკონტროლო ანაბეჭდით.

წარმოდგენილი ნეგატივები და საკონტროლო ანაბეჭდები ხარისხიანად უნდა იყოს შესრულებული.

წარმოდგენილი ფოტოსურათები უნდა ასახავდნენ პიონერ-მოსწავლეთა და კომკავშირელთა საქმიანობას, სწავლას, შრომას, დასვენებას და სოციალისტურ მშენებლობაში მათ მონაწილეობას.

კონკურსის თითოეულ მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს სურათების ნებისმიერი რაოდენობა.

წარმოდგენილ ნამუშევრებს აუცილებლად უნდა ახლდეს პასპორ-

ტი შემდეგი მონაცემებით: სურათის სახელწოდება და ვის მიერაა გადაღებული სურათი (გვარი, სახელი, სკოლა, კლასი, სკოლისგარეშე დაწესებულება), აგრეთვე წრის ხელმძღვანელის გვარი და სახელი. პაკეტი უნდა დაიწეროს ცალკე ფურცელზე და ერთი ბოლოთი მიეკრას საკონტროლო სურათის მეორე მხარეზე, ხოლო ნეგატივები ცალკე კონვერტში უნდა იქნას მოთავსებული.

სურათი შეიძლება დაიბეჭდოს ნებისმიერ ფოტოქაღალდზე. კონკურსზე მიიღება მხოლოდ ის ნამუშევრები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ პირობებს.

## ფოტოკონკურსის ხელმძღვანელობა

ნორჩ ფოტომოყვარულთა რესპუბლიკური კონკურსის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ფოტოკონკურსის ჩატარებისათვის საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში იქმნება ხელშემწყობი კომისიები, რომლებიც მთელ მუშაობას წარმართავენ რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მითითებათა საფუძველზე.

კომისიებში გაერთიანდებიან განათლების განყოფილებების, ალკკ რაიკომების (ქალაქკომების), პიონერთა საბჭოების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლისგარეშე დაწესებულებების წარმომადგენლები და ფოტოსაქმის სპეციალისტები.

რაიონული, საქალაქო, საოლქო კონკურსების ხელშემწყობი კომისიები ატარებენ შემდეგ მუშაობას:

ა) ყველა პიონერსა და მოსწავლეს აცნობენ ფოტოკონკურსის ჩატარების პირობებს;

ბ) კონკურსის მონაწილეთათვის ატარებენ კონსულტაციებს თემატიკის, კომპოზიციისა და ფოტოსურათების დამუშავების საკითხებზე;

გ) 1985 წლის 20 აპრილამდე აწყობენ კონკურსზე წარმოდგენილი ფოტოსურათების რაიონულ, საქალაქო და საოლქო გამოფენებს;

დ) რაიონულ, საქალაქო და საოლქო კონკურსში გამარჯვებულთათვის აწესებენ ჯილდოებს;

ე) გამოფენებიდან შეარჩევენ საუკეთესო ნამუშევრებს და შესაბამისი გაფორმებით მიმდინარე წლის 1 მაისამდე აგზავნიან ქ. თბილისში, რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე.

წარმოდგენილი მასალებიდან შერჩეული საუკეთესო ნამუშევრები ექსპონირებული იქნება რესპუბლიკურ შემაჯამებელ გამოფენაზე. გამოფენა მოეწყობა 1985 წლის 20 მაისს, ქ. თბილისში, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის შენობაში. ამ გამოფენაზე შერჩეული საუკეთესო სურათები პერიოდულად გამოქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კონკურსის სახსრები და დაჯილდოება

რაიონული (საქალაქო) კონკურსის ჩატარების სახსრები გამოიყოფა ადგილობრივი განათლების განყოფილების მიერ, ხოლო რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო სახსრებს გამოყოფს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.

გამოფენის მიმდინარეობის პერიოდში გამოყოფილი ჟიური გადასინჯავს ყველა ფოტოსურათს, შეარჩევს საუკეთესოებს და დააჯილდოებს მათ ავტორებს. დაჯილდოვდებიან აგრეთვე წრეების ხელმძღვანელები, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ფოტომოყვარულთა წრეები.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი ჯილდოები:

1-ლი პრემია (1-ლი ხარისხის სიგელი და 15 მანეთის ფასიანი საჩუქარი) — 5;

მე-2 პრემია (მე-2 ხარისხის სიგელი და 10 მანეთის ფასიანი საჩუქარი) — 10;

მე-3 პრემია (მე-3 ხარისხის სიგელი და 5 მანეთის ფასიანი საჩუქარი) — 25;

სიგელი — 50.

კოლექტივებისათვის დაწესებულია I, II და III ხარისხის სიგელები.

კონკურსზე დაგვიანებით წარმოდგენილი ფოტოსურათები ჟიურის მიერ განხილული არ იქნება.

ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართია:

**ქ. თბილისი, აკ. წერეთლის პროსპექტი, № 1**
**ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ПОСТАНОВЛЕНИЕ
## БЮРО ЦК ЛКСМ ГРУЗИИ И КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**Об итогах 20-го Республиканского конкурса юных фотолюбителей и мероприятиях по проведению 21-го Республиканского конкурса, посвященного 40-летию Победы над фашизмом**

**11 октября 1984 года**

Бюро ЦК ЛКСМ Грузии и коллегия Министерства просвещения Грузинской ССР, ознакомившись с итогами 20-го Республиканского конкурса юных фотолюбителей, посвященного 200-летию Георгиевского трактата, отмечают, что фотоконкурс и особенно его итоговая выставка выявила много способных учащихся. Фотоконкурс явился значительным Республиканским массовым мероприятием, который способствовал резкому улучшению кружковой работы. Представленные на фотоконкурс содержательные и в совершенстве обработанные снимки говорят о росте мастерства учащихся и изысканности их вкуса.

Из представленных на районных, городских и областных выставках юных фотолюбителей многочисленных снимков, было подобрано и переслано на имя Республиканского организационного комитета 641 снимков, из которых 301 был экспонирован на итоговой выставке.

На представленных снимках отображены успехи нашей республики в социалистическом строительстве, отдельные моменты учебы, труда и отдыха учащихся, пейзажи.

Массовостью вовлечения учащихся в конкурс отличились кружки фотолюбителей Центральной станции юных техников, Республиканской станции юных техников Аджарской АССР, областной станции Юго-Осетии, станции юных техников городов Кутаиси, Чиатура, Поти и Ткибули, а так же Кутаисского и Зугдидского Дворцов пионеров и школьников, Домов пионеров и школьников Сагареджоиского, Самтредского и Орджоникидзевского районов.

На Республиканской выставке одобрение многочисленных посетителей заслужили фотоснимки: «Перед решающей партией» (Исаев Валерий — Тбилисская 136-ая средняя школа, VIII класс), «Высоко, к солнцу» (Насидзе Заза — з/к железнодорожная Гурджаанская 3-я средняя школа, XI класс), «По секрету»

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(Хазалия Лаша — Зугдидская I-ая средняя школа, IV класс), «Портрет дедушки» (Хизанишвили Нико — Цхинвальская I-ая средняя школа, V класс), «Ласка матери» (Джорджикия Ираклий — Потийская I6-ая средняя школа, VII класс), «Пионерская клятва» (Гумберидзе Арчил — Кутаисская 25-ая средняя школа, IX класс) «Натюрморт» (Цховребова Наталья — Цхинвальская 6-ая средняя школа, VII класс), «Портрет» (Копалиани Гоча — Цулукидзевская 3-я средняя школа, VII класс), «Моя бабушка» (Кокаладзе Гурам — Батумская 22-ая средняя школа, VII классс), «Встреча с Анатолием Карповым» (Жоржолиани Михаил — Цхалтубская I-ая средняя школа, VI класс) и др.

В конкурсе не участвовали станции юных техников Абхазской АССР и г. Гори, а также школы и внешкольные учреждения Адигенского, Ахметского, Болнисского, Гегечкорского, Ванского, Каспиского, Лагодехского, Лентехского, Марнеульского, Маяковского, Местийского и некоторых других районов.

Жюри наградило первой премией 5 учащихся, второй премией—10, третьей—25, грамотами—19 учащихся.

Бюро ЦК ЛКСМ Грузии и коллегия Министерства просвещения Грузинской ССР постановили:

1. Представленный организационным комитетом 20-го Республикаского конкурса юных фотолюбителей проект о награждении фотолюбителей, фотокружков школ, внешкольных учреждений, руководителей кружков утвердить (приложения № I, 2, 3).

2. До 20-го мая 1985 года объявить 2I-ый Республиканский конкурс юных фотолюбителей и посвятить его 40-летию Победы над фашизмом.

3. Положение о проведении конкурса утвердить (прилагается).

4. Для руководства проведением 2I-го Республиканского конкурса юных фотолюбителей утвердить организационный комитет в следующем составе:

Дарчия М. — заместитель Министра просвещения Грузинской ССР, председатель организационного комитета.

Туркия О. — главный редактор фотоинформации «Грузинформа», заместитель председателя организационного комитета

Задкуа Э. — начальник Управления воспитательной работы

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Министерства просвещения Грузинской ССР, заместитель председателя организационного комитета

Алавердашвили А. — заведующая Отделом учащейся молодежи ЦК ЛКСМ Грузии, заместитель председателя организационного комитета

Эниташвили Г. — директор Центральной станции юных техников, секретарь организационного комитета

Члены организационного комитета:

Церцвадзе И. — редактор газеты «Норчи Ленинели»

Вардосанидзе Г. — секретарь Президиума Грузинского Республиканского комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений

Жгенти Т. — директор Республиканского Дворца пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе

Мамасахлиси А. — доцент Кафедры журналистики Тбилисского государственного университета

Нацвлишвили П. — главный редактор молодежных передач Грузинского радио

Русецкий В. — заведующий Иллюстрационным отделом газеты «Вечерний Тбилиси»

Генгиури В. — фоторепортер газеты «Комунисти»

Гурасашвили А. — ответственный секретарь газеты «Ахалгазрда комунисти»

Вартанесов С. — заведующий фотолабораторией Центральной станции юных техников

5. Поручить организационному комитету 21-го Республиканского конкурса юных фотолюбителей:

а) обеспечить районы необходимым количеством инструктивных материалов и положением;

б) командировать специалистов для оказания помощи районам и городам, которые не приняли участия в предыдушем конкурсе.

6. Поручить Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим Юго-Осетинским областным, городскими и районными отделами народного образования, начальнику Управления народного образования г. Тбилиси, секретарям районных, городских и областных комитетов ЛКСМ Грузии:

а) при общеобразовательных средних школах и во внешкольных учреждениях создать комиссии по содействию конкурсу

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

юных фотолюбителей в составе представителей комсомольских, пионерских организаций и родительских комитетов;

б) развернуть на местах подготовительную работу и довести до всех школ и внешкольных учреждений условия проведения конкурса;

в) до 20-го апреля 1985 года провести областные, городские и районные выставки юных фотолюбителей.

7. Поручить Главному управлению снабжения Министерства просвещения Грузинской ССР (тов. К. Дзлиеришвили) в соответствии с заявкой Центральной станции юных техников, выделить для школ и внешкольных учреждений фотоаппараты и фотоматериалы.

8. Редакциям газет «Сахалхо ганатлеба» (тов. Н. Швелидзе), «Ахалгазрда комунисти» (тов. Р. Баланчивадзе), «Молодежь Грузии» (тов. В. Анастасиди); журналов «Скола да цховреба» (тов. Р. Дзерия), «Пионери» (тов. Б. Шелия), редакциям детских передач Грузинского радио и телевидения (тов. тов. В. Микаберидзе, Р. Гамсахурдия) периодически освещать материалы о ходе конкурса.

9. Управлению воспитательной работы Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Э. Заркуа) и Отделу учащейся молодежи ЦК ЛКСМ Грузии (тов. А. Алавердашвили) установить контроль за выполнением данного постановления.

Секретарь ЦК ЛКСМ Грузии
В. ЛОРДКИПАНИДЗЕ

Министр просвещения
Грузинской ССР
О. КИНКЛАДЗЕ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**Приложение № 1**

## СПИСОК

**учащихся, участников 20-го Республиканского конкурса юных фотолюбителей, которые награждены грамотами и ценными подарками**

**Первой премией (грамотой первой степени и ценным подарком стоимостью 15 рублей):**

1. Исаев Валерий — Тбилисская 136-ая средняя школа, VIII класс
2. Хазалия Лаша — Зугдидская 1-ая средняя школа, IV класс
3. Насидзе Заза — Гурджаанская железнодорожная 3-я средняя школа, IX класс
4. Хизанишвили Нико — Цхинвальская 1-ая средняя школа, V класс
5. Джорджикия Ираклий — Потийская 16-ая средняя школа, VII класс

**Второй премией (грамотой второй степени и ценным подарком стоимостью 10 рублей):**

1. Гумберидзе Арчил — Кутаисская 25-ая средняя школа, IX класс
2. Цховребова Наталия — Цхинвальская 6-ая средняя школа, VII класс
3. Копалиани Гоча — Цулукидзевская 3-я средняя школа, VII класс
4. Кутивадзе Хвича — Кутаисская 23-ая средняя школа VII класс
5. Коколадзе Гурам — Батумская 22-ая средняя школа, VII класс
6. Болквадзе Темур — Батумская 7-ая средняя школа, V класс
7. Жоржолиани Михаил — Цхалтубская 1-ая средняя школа, VI класс
8. Гогуадзе Тата — Самтредская 3-я средняя школа, III класс

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. Мачарашвили Темур — Чиатурская 10-ая средняя школа, IX класс

10. Твилдиани Лаша — Цулукидзевская 1-ая средняя школа, VII класс

**Третьей премией (грамотой третьей степени и ценным подарком стоимостью 5 рублей):**

1. Шецирули Қаха — Самтредская 3-я средняя школа, VI класс
2. Луашвили Вано — Гурджаанская железнодорожная 3-я средняя школа, IX класс
3. Каджаев Алик — Цхинвальская II-ая средняя школа, V класс
4. Гинжул Юрий — Тбилисская 136-ая средняя школа, VIII класс
5. Тибилов Алан — Цхинвальская 2-ая средняя школа, V класс
6. Капанадзе Гела — Батумская 1-ая средняя школа, VIII класс
7. Алборов Алан — Цхинвальская 2-ая средняя школа, IX класс
8. Полтожорский Ираклий — Ткибульская 6-ая средняя школа, VI класс
9. Романадзе Қаха — Батумская 7-ая средняя школа, VII класс
10. Онианшвили Сосо — Гурджаанская железнодорожная 3-я средняя школа, IX класс
11. Гогуадзе Натиа — Самтредская 3-я средняя школа, VI класс
12. Қахиани Александр — Потийская 10-ая средняя школа, VII класс
13. Қасабиева Светлана — Цхинвальская II-ая средняя школа, VI класс
14. Микаберидзе Ирма — Орджоникидзевская железнодорожная 10-ая средняя школа, VI класс
15. Лазаренко Рома — Батумская 20-ая средняя школа, VIII класс
16. Арзуманян Сасун — Богдановская русская средняя школа, VI класс

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. Гогсадзе Цицино — Амбролаурская I-ая средняя школа, VIII класс

18. Шашвиашвили Вепхвия — Кондольская средняя школа Телавского района, VIII класс

19. Кочуа Заал — Зугдидская II-ая средняя школа, VII класс

20. Каландадзе Гела — Чохатаурская I-ая средняя школа, VI класс

21. Месхидзе Маргарита — Ахалцихская 2-ая средняя школа, VII класс

22. Твердохлеб Евгений — Гомборская средняя школа, Сагареджойского района, VIII класс

23. Калмыков Василий — Гореловская средняя школа, Богдановского района, VI класс

24. Лоломадзе Коба — Кутаисская 25-ая средняя школа, IX класс

25. Кулумбегашвили Элгуджа — Горийская 3-я средняя школа, VII класс

**грамотами:**

1. Бурляева Ирина — Батумская 20-ая средняя школа, V класс

2. Чкония Малхаз — Батумская 28-ая средняя школа, VIII класс

3. Новопашин Григорий — Потийская 4-ая средняя школа, VIII класс

4. Анджапаридзе Рамаз — Кутаисская 7-ая средняя школа, IX класс

5. Вепхвадзе Вепхия — Чиатурская 9-ая средняя школа, VI класс

6. Самсонидзе Гия — Ткибульская 4-ая средняя школа, VII класс

7. Турманидзе Иосиф — Горийская 3-я средняя школа, VI класс

8. Чалаева Наташа — Цхинвальская 2-ая средняя школа, VI класс

9. Гресс Инесса — Руставская I-ая средня школя, VIII класс

10. Бегнашвили Георгий — Сигнахская средняя школа, VIII класс

11. Чантурия Сулхан — Орджоникидзевская 7-ая средняя школа, IV класс

12. Мерквиладзе Леван — Кутаисская 3-я средняя школа, VII класс

13. Датуашвили Хвича — Кутаисская 23-ая средняя школа, IX класс

14. Гончарова Зинаида — Гореловская средняя школа Богдановского района, VI класс

15. Чехоев Вадим — Цхинвальская 2-ая средняя школа, VI класс

16. Мурусидзе Эка — Амбролаурская средняя школа, VIII класс

17. Бобохидзе Мамука — Ивандидская средняя школа Цулукидзевского района, VIII класс

18. Жоржолиани Мамука — Цхалтубская 1-ая средняя школа, V класс

19. Джавахов Александр — Тбилисская 32-ая средняя школа, VII класс

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение № 2

## СПИСОК

**Фотокружков школ и внешкольных учреждений, которые за активное участие в 20-ом Республиканском конкурсе юных фотолюбителей награждены**

### Грамотой I степени:

1. Кружок фотолюбителей РСЮТ Аджарской АССР
2. Кружок фотолюбителей Центральной станции юных техников
3. Кружок фотолюбителей Кутаисской городской СЮТ
4. Кружок фотолюбителей Юго-Осетинской областной СЮТ

### Грамотой II степени:

1. Кружок фотолюбителей Дома пионеров и школьников Гурджаани
2. Кружок фотолюбителей СЮТ г. Поти

### Грамотой III степени:

1. Кружок фотолюбителей Дома пионеров и школьников г. Самтредиа
2. Кружок фотолюбителей Гомборской средней школы Сагареджойского района
3. Кружок фотолюбителей Кондольской средней школы Телавского района.
4. Кружок фотолюбителей СЮТ г. Чиатура
5. Кружок фотолюбителей Дворца пионеров и школьников г. Цхинвали

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение № 3

# СПИСОК

**работников школ и внешкольных учреждений, которые за массовое вовлечение учащихся в 20-ый Республиканский конкурс юных фотолюбителей и активное участие награждены**

**грамотами:**

1. Бецнашвили Бесик — руководитель кружка фотолюбителей Гурджаанского Дома пионеров и школьников
2. Вартанесов Сурен — заведующий фотолабораторией Центральной станции юных техников
3. Татришвили Лили — руководитель фотокружка Гомборской средней школы Сагареджойского района
4. Ломадзе Гиули — руководитель фотокружка Кутаисской городской станции юных техников
5. Билиходзе Лери — руководитель фотокружка станции юных техников Аджарской АССР
6. Шекриладзе Темур — руководитель фотокружка Чиатурской городской станции юных техников
7. Чочиев А. Г. — руководитель фотокружка Цхинвальского Дворца пионеров и школьников
8. Купуния Ироди — руководитель фотокружка Зугдидского Дворца пионеров и школьников
9. Багаев О. — руководитель фотокружка Юго-Осетинской областной станции юных техников
10. Патаридзе Нугзар — руководитель фотокружка Самтредского Дома пионеров и школьников
11. Ахалмосулишвили Гиоргий — руководитель фотокружка Кондольской средней школы Телавского района

ეროვნული ბიბლიოთეკა

**«УТВЕРЖДЕНО»**
совместным постановлением Бюро ЦК ЛКСМ Грузии и коллегий Министерства просвещения Грузинской ССР от II октября 1984 года

# П О Л О Ж Е Н И Е

## о 2I-ом Республиканском конкурсе юных фотолюбителей, посвященном 40-летию Победы над фашизмом

2I-ый Республиканский конкурс юных фотолюбителей, посвященный 40-летию Победы над фашизмом проводится до 20-го мая 1985 года

### Цель конкурса

а) расширение сети фотокружков и улучшение работы в этом направлении;

б) усиление интереса учащихся к фотографии, повышение культуры, выявление способных фотолюбителей и вовлечение в фотодело широких масс учащихся.

### Участники конкурса

В конкурсе могут участвовать учащихся восьмилетних и средних школ и профтехучилищ, воспитанники школ-интернатов и детских домов, учащиеся внешкольных детских учреждений и отдельные фотокружки.

### Условия участия в конкурсе

На конкурс принимаются только черно-белые фотонегативы с контрольным отпечатком размером 9×I2 см.

Представленные негативы и контрольные отпечатки должны быть исполнены качественно.

Представленные фотографии должны отображать деятельность учащихся—пионеров и комсомольцев: учебу, труд, отдых и их участие в социалистическом строительстве.

Каждый участник конкурса может представить неограниченное количество снимков.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

К представленным работам обязательно прилагается паспорт с указанием названия снимка, кем сделан снимок (фамилия, имя, школа, класс, внешкольное учреждение), а также фамилия и имя руководителя кружка. Паспорт должен быть написан на отдельном листе бумаги и приложен к контрольному отпечатку, а негатив отдельно уложен в конверт.

На конкурс принимаются только те работы, которые будут отвечать указанным требованиям.

### Руководство фотоконкурсом

Общее руководство Республиканским конкурсом юных фотолюбителей осуществляет Республиканский организационный комитет.

Для проведения фотоконкурса в районах и городах Грузии создаются комиссии содействия, которые свою работу проводят на основании указаний Республиканского организационного комитета.

В комиссиях объединяются представители отделов народного образования, райкомов (горкомов) ЛКСМ, советов пионерских организаций, школ, школ-интернатов, внешкольных учреждений и специалисты фотодела.

Районные (городские) комиссии содействия проводят следующую работу:

а) знакомят всех пионеров и школьников с условиями проведения фотоконкурса;

б) для участников конкурса проводят консультации по вопросам тематики, композиции и обработки снимков;

в) до 20 апреля 1985 года проводят районные, городские и областные выставки представленных снимков;

г) учреждают награды для победителей районных (городских) и областных конкурсов;

д) на выставках отбирают лучшие работы и с соответствующим оформлением до 1-го мая посылают оргкомитету в г. Тбилиси для участия в Республиканской выставке.

Из представленного материала отобранные наилучшие работы будут экспонированы на Республиканской итоговой выставке. Выставка организуется 20-го мая 1985 года в г. Тбилиси, в здании Центральной станции юных техников. Отобранные на ней наилучшие снимки будут периодически публиковаться в республиканской прессе.

## Ресурсы конкурса и награждение

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Ресурсы на проведение районных (городских) конкурсов выделяются отделами народного образования, а для проведения Республиканского конкурса — Центральной станцией юных техников.

В период проведения выставки выделенное жюри просматривает все фотоснимки, выбирает лучшие снимки и награждает их авторов. Награждаются также руководители кружков; кружки школ, школ-интернатов, детских домов и внешкольных детских учреждений.

Для победителей конкурса учреждены следующие награды:

I-ая премия (грамота I-ой степени и ценный подарок стоимостью I5 рублей)—5;

2-ая премия (грамота 2-ой степени и ценный подарок стоимостью 10 рублей) — 10.

3-я премия (грамота III степени и ценный подарок стоимостью 5 рублей) —25;

Грамота—50.

Для коллективов учреждены грамоты I, II и III степени.

Фотоснимки, представленные на конкурс с опозданием, рассматриваться не будут.

Адрес организационного комитета 21-го Республиканского конкурса юных фотолюбителей:

**г. Тбилиси, пр. А. Церетели № I,**
**Центральная станция юных техников**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1984 წლის 11 ოქტომბრის

# გადაწყვეტილება

### ნორჩ მხაზველთა 22-ე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და 23-ე კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ ნორჩ მხაზველთა 22-ე რესპუბლიკური კონკურსი მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარდა. ნორჩ მხაზველთა კონკურსის მაღალი შემოქმედებითი დონე განაპირობა ადგილებზე რაიონული, საქალაქო და ზონალური ტურების ჩატარებისადმი პასუხისმგებლობის ზრდამ, კონკურსზე შესრულებული ამოცანების და საგამოფენო ნახაზების ხარისხის მიმართ მოთხოვნილების ამაღლებამ.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების მაღალი დონე მოწმობს, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პიონერთა სახლებსა და სასახლეებში, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში, სკოლებში ამ მიმართულებით მუშაობა მაღალ დონეზე წარმოებს.

თბილისის 48-ე საშუალო სკოლაში პირველად ჩატარდა შემოქმედებითი საღამო „ხაზვის სამყაროში“ (მასწავლებელი — სახალხო განათლების წარჩინებული მ. ბარამიძე).

საღამო საინტერესოდ წარიმართა. მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს საგნის, ხაზვის ისტორიისა და გრაფიკული გამოსახულებების აგების მეთოდების ღრმა ცოდნა. საინტერესო ღონისძიება ჩაატარა ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხაზვის კაბინეტმა (გამგე — სახალხო განათლების წარჩინებული დ. ბედიაშვილი). მოსწავლეების ორი გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს ხაზვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში. შეჯიბრებამ სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა.

მოწონებულ იქნა თბილისის 48-ე საშუალო სკოლის და საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლის ერთობლივი ღონისძიება: „მოგზაურობა ხაზვის სამყაროში“.

ნორჩ მხაზველთა 22-ე რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 72 რაიონისა და ქალაქის 450 სკოლის 3224 მოსწავლემ.

კომიტეტის თავმჯდომარეების მიერ ზონის ცენტრებში სისტემატურად ტარდებოდა ლექცია-საუბრები, კონსულტაციები, ადგილებზე განიხილებოდა კონკურსის II ტურის ნამუშევრების რეცენზიები.

კონკურსის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს

ვ. ი. ლენინის სახელობის და ნ. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრების პროფესორ-მასწავლებლები; ლექცია-საუბრების, კონსულტაციების, ტურების ჩატარება და ნაშრომების რეცენზირება უშუალოდ მათი ხელმძღვანელობით ხორციელდება.

საგარეჯოში, სადაც რესპუბლიკური კონკურსის მონაწილეთა შემაჯამებელი შეკრება ჩატარდა პირველ დღეს, 19 მაისს, „მევენახის სახლში“ გაიხსნა შინაარსობრივად მდიდარი გამოფენა, რომელმაც დამსწრეთა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გამოფენაზე მაღალ დონეზე შესრულებული ნახაზები და მოდელები წარმოადგინეს თბილისის 42-ე, 48-ე, 64-ე, 56-ე, 75-ე, 142-ე, 162-ე, აბაშის 1-ლი, თელავის მე-7 საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

კარგი იყო ქუთაისის, ცხაკაიას, თელავის ზონების საგამოფენო ნამუშევრები.

ყურადღებას იმსახურებს ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის ბურჯალიანისა და თელავის 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის გ. გოზალიშვილის, მე-7 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის მ. ლაზარიაშვილის მიერ მაღალ დონეზე შესრულებული მაკეტების ექსპოზიცია „ქართული არქიტექტურის ძეგლები“.

შეკრების მეორე დღეს 20 მაისს შეჯამებულ იქნა კონკურსის შედეგები, მოწონებულ იქნა გამოფენა, მოსწავლეებისათვის ჩატარდა ექსკურსიები.

ღონისძიების ორგანიზებულად ჩასატარებლად დიდი მუშაობა გასწია საგრეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ნ. ჭანტურია, სასკოლო ინსპექტორი ამხ. შ. კრიხელი) და საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა (ამხ. გ. პიტიურაშვილი), სახალხო დეპუტატების საგარეჯოს აღმასკომმა (ამხ. მ. ლეჟავა), საქართველოს ალკკ საგარეჯოს რაიკომმა (ამხ. მ. თარიმანაშვილი).

ნორჩ მხაზველთა კონკურსებმა ღირსეული ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის სკოლების ცხოვრებაში. ხაზვამ დამსახურებულად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი სხვა სასწავლო დისციპლინების გვერდით და დიდად შეუწყო ხელი პროფორიენტაციის მიზნით მოსწავლეთა ტექნიკური აზროვნების განვითარებას.

მიღწევებთან ერთად კონკურსმა გამოავლინა ნაკლოვანებები, კერძოდ შეინიშნებოდა, რომ კონკურსში მონაწილე რაიონების მოსწავლეების უმრავლესობა ვერ ამჟღავნებს სტანდარტების ცოდნას, რის გამოც გამარჯვებულთა რაოდენობა, ძირითადად, თბილისის სკოლებზე მოდის.

კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია 13 ქალაქისა და რაიონის სკოლების მოსწავლეებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მოწონებულ იქნას ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის (ამხ. თ. ჟღენტი), საგარეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების (ამხ. ნ. ჭანტურია), რესპუბლიკის კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებების მიერ გაწეული მუშაობა ნორჩ მხაზველთა 22-ე რესპუბლიკური კონკურსის მომზადებასა და ჩატარებაში.

2. ნორჩ მხაზველთა 22-ე რესპუბლიკურ კონკურსზე საუკეთესოდ შესრულებული საგამოფენო ნახაზების, მოდელების წარმოდგენისა და საკონკურსო ამოცანების მაღალხარისხოვნად ამოხსნისათვის დაჯილდოვდნენ:

ა) გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრიზით — 2 მოსწავლე (დანართი 1);

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომით 79 მოსწავლე;

გ) II ხარისხის დიპლომით — 173 მოსწავლე;

დ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით 148 მოსწავლე;

ე) ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელით 51 მოსწავლე;

ვ) ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ალკკ კომიტეტის საპატიო სიგელით 30 მოსწავლე;

ზ) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით 11 სკოლა და 9 ხაზვის მასწავლებელი;

თ) ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში წლების განმავლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდეს 5 ხაზვის მასწავლებელი (დანართი 2);

ი) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომით 30 ხაზვის მასწავლებელი.

3. ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკური კონკურსი ჩატარდეს 1984 წლის სექტემბრიდან 1985 წლის მაისამდე. კონკურსი ჩატარდეს სამ ტურად VIII-IX-X კლასებისათვის:

ა) დასწრებული ტური ჩატარდეს 1985 წლის 20 იანვარს, საქალაქო და სარაიონო ხელმძღვანელ კომისიების მიერ;

ბ) II დასწრებული ტური ჩატარდეს 1985 წლის 17 მარტს, ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ;

გ) III დაუსწრებელი ტური ჩატარდეს 1985 წლის 21 აპრილს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ;

დ) VII კლასებისათვის დასწრებული ტური ჩატარდეს 1985 წლის 17 მარტს, ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

4. 1985 წლის 18-19 მაისს ზესტაფონში ჩატარდეს ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულთა შეკრება და მოეწყოს მათი ნამუშევრების გამოფენა.

5. კონკურსის მომზადებასა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, კონკურსის ჟიური, საკონკურსო ამოცანების შემდგენელი კომისია და სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა (დანართი 3).

6. დამტკიცდეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის მიერ წარმოდგენილი 23-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ხარჯთაღრიცხვა.

**კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

**ნორჩ მხაზველთა 22-ე რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულ და საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაჯილდოებულ მოსწავლეთა ს ი ა:**

ა) კონკურსის მთავარი ჯილდო გ. ნიკოლაძის სახელობის პრიზი მიენიჭოს:

1. მანანა თემურის ასულ კაციაშვილს — თბილისის 88-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს

2. თამარ რამაზის ასულ ხარაძეს — ხარაგაულის მე-10 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს.

დანართი 2

**ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში წლების განმავლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ:**

1. აშვეთია მალინა ილიას ასული — ქუთაისის 27-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

2. ბერიძე ტატიანა ევგენის ასული — ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმნის საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

3. სიჭინავა ლუდმილა ნიკოლოზის ასული — გუდაუთის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

4. ჩიქოვანი ნინა დავითის ასული — სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

5. ხურცილავა ქეთევან სიმონის ასული — ცხაკაიას მე-4 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

დანართი 3

**დამტკიცდეს ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:**

მ. კობახიძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (თავმჯდომარე)

მ. ხაჩიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)

ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

ა. ალავერდაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

ტ. როგაჩოვა — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე (სოხუმის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

ე. ცივაძე — აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე (ბათუმის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

გ. ბეგიაშვილი — სამხრეთ ოსეთის ა/ო სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილე

ლ. ჩიქვანაია — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი

ჰ. თუთბერიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

თ. ჟღენტი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ი. ჩახავა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე

გ. წერეთელი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი

ა. შავგულიძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე, პროფესორი

ს. ბარბაქაძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის დოცენტი

ვ. კალაძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგე

დ. მაჭავარიანი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე

ქ. გიორგაძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის მეთოდისტი

მ. სარალიძე — ზესტაფონის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე

ი. ლომაძე — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი, თბილისის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

**კონკურსის ჟიური:**

ა. შავგულიძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ეფრემაშვილი — თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მეთოდისტი

ვ. კალაძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგე

დ. მაჭავარიანი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე

**სარედაქციო საბჭო:**

ა. შავგულიძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე

დ. მაჭავარიანი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე

მ. ბარამიძე — თბილისის 48-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

**საკონკურსო ამოცანების შემდგენელი კომისია:**

ბ. კაჭარავა — აბაშის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

ი. ლომაძე — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

ნ. ერისთავი — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის მასწავლებელი

რ. ბარამიძე — ქ. თბილისის 101-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ

ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსს ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეებს, აგრეთვე ბავშვთა აღზრდის სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებულ ნორჩ მხაზველთა წრის წევრებს.

## ნორჩ მხაზველთა კონკურსის ჩატარების მიზანი

ხაზვა, როგორც საშუალო სკოლის სასწავლო საგანი, ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებითი უნარის განვითარებას, აღვიძებს მათში კონსტრუირებისა და მოდელირების, ანუ შემოქმედებითი მოღვაწეობის ინტერესებს. გრაფიკული მეთოდები ფართოდ გამოიყენება სხვა საგნების სწავლებაშიც. ამიტომ ხაზვის, ანუ საინჟინრო გრაფიკის ელემენტების ათვისება ამ მხრივაც ერთობ დიდი მნიშვნელობით სარგებლობს.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ყველაზე მაღალ წარმატებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა კარგად ორგანიზებული საგაკვეთილო სისტემა შევსებულია კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ძლიერი ქსელით. აქ სხვა მნიშვნელოვან მასობრივ ღონისძიებათა შორის იგულისხმება ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსების ჩატარება. ამგვარი კონკურსების მიზანია მოსწავლეთა პროფესიული მიდრეკილებისა და ინტერესების გამოვლინება, დამოუკიდებელ შემოქმედებით შრომაში მათი პოტენციური შესაძლებლობების გამომჟღავნება.

ნორჩ მხაზველთა კონკურსში მონაწილეობა მოსწავლის თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ასეთი მონაწილეობა უნდა წარმოადგენდეს ხანგრძლივი და ბეჯითი შრომის ლოგიკურ შედეგს. კონკურსის წინა პირობა ითვალისწინებს მოსწავლის ინტელექტუალურ აქტივობას მთელი სამუშაო ციკლის განმავლობაში, მოსწავლე წარმატებით უნდა სწავლობდეს სასკოლო კურსის მთლიან პროგრამას, ცოდნას ილრმავებდეს საწრეო თუ ფაკულტატურ მეცადინეობებზე და ბოლოს იწყებდეს კონკურსის თემატიკაზე მუშაობას.

მხოლოდ საუფძვლიანი მომზადების შემდეგ ეძლევა მოსწავლეს უფლება დაამუშაოს კონკურსის თემატიკა და საგნის მასწავლებლის რეკომენდაციით წარმოადგინოს მოთხოვნა ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

## კონკურსის პირობები

ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსი ტარდება სამ ტურად. აქედან პირველი და მეორე დასწრებულია, ხოლო მესამე დაუსწრებელი.

პირველი — დასწრებული ტურის მონაწილეებს მოეთხოვებათ:

VIII კლასი — დეტალის თვალსაჩინო გამოსახულების მიხედვით ამ დეტალის ნახაზის შედგენა ორთოგონალურ და აქსონომეტრიულ გეგმილებში.

საკონკურსო დეტალის საორიენტაციო სირთულე:

წახნაგოვანი და ცილინდრული (ან კონუსური) ზედაპირების მარტივი ურთიერთობით შემოსაზღვრული დეტალი, რომელსაც შინაგანი სიღრუეებიც გააჩნია, ნახაზის შედგენა უნდა შეიცავდეს სხვადასხვა სახის გეომეტრიულ აგებას, მაგალითად, შეუღლებებს.

IX-X კლასი — დეტალის თვალსაჩინო გამოსახულების მიხედვით ამ დეტალის ნახაზის შედგენა ორთოგონალურ და აქსონომეტრიულ გეგმილებში პირობითი ჭრილების გამოყენებით.

საკონკურსო დეტალის საორიენტაციო სირთულე:

წახნაგოვანი, ცილინდრული და კონუსური ზედაპირების მარტივი ურთიერთობით შემოსაზღვრული დეტალი, რომელსაც შინაგანი სიღრუეებიც გააჩნია. ნახაზის შედგენა უნდა შეიცავდეს გეომეტრიული ზედაპირების თანაკვეთის მარტივ შემთხვევებს და სხვადასხვა სახის გეომეტრიულ აგებებს, მაგალითად, შეუღლებებს, ქანობს, კონუსურობას, როგორც ორთოგონალურ, ასევე აქსონომეტრიულ გეგმილებში გამოყენებულ უნდა იქნას შიდა ფორმების მაჩვენებელი პირობითი შესრულების სხვადასხვა შემთხვევები.

მეორე — დასწრებული ტურის მონაწილეებს მოეთხოვებათ:

VIII კლასი — დეტალის ორი ხედის მიხედვით მესამე ხედის პოვნა და აქსომნომეტრიის აგება პირობითი რთული ჭრილების გამოყენებით.

დეატლის საორიენტაიცო სირთულე:

წახნაგოვანი, ცილინდრული და კონუსური ზედაპირებით შემოსაზღვრული დეტალი, რომელსაც შინაგანი სიღრუეებიც გააჩნია. ნახაზის შედგენა უნდა შეიცავდეს გეომეტრიული ზედაპირების თანაკვეთის წირის გამოსახვას და სხვა გეომეტრიულ აგებებს.

IX-X კლასი — დეატლის ორი ხედის მიხედვით მესამე ხედის პოვნა და აქსომნომეტრიის აგება პირობითი რთული ჭრილების გამოყენებით.

მესამე — დაუსწრებელი ტურის მონაწილეებს მოეთხოვებათ:

VIII კლასი:

1. ნატურიდან ერთი დეტალის ესკიზის (ხედები, ჭრილები) და

სამუშაო ნახაზის (ხედები, ჭრილები, აქსონომეტრია) შესრულება.

2. მარტივი დეტალის ზედაპირის განფენა სიბრტყეზე და ამ განფენის მიხედვით დეტალის მოდელის დამზადება.

**შენიშვნა:** VIII კლასებისათვის განკუთვნილი საკონკურსო დეტალების ნახაზები უნდა შეიცავდეს მარტივი ჭრილების აგებებს, გეომეტრიულ შეუღლებებს, გეომეტრიული ზედაპირის თანაკვეთის წირის გამოსახულების მარტივ შემთხვევებს.

IX-X კლასი:

1. არართული დეტალის ზედაპირის განეფნა სიბრტყეზე და ამ განფენის მიხედვით დეტალის მოდელის დამზადება.

2. ნატურიდან ოთხი-ხუთი დეტალისაგან შემდგარი კვანძის ნახაზი, ხედები, აქსონომეტრია, ჭრილები).

3. საამწყობო ნახაზის დეტალირება (ერთი დეტალის სამუშაო ნახაზი, ხედები, აქსონომეტრია, ჭრილები).

მესამე დაუსწრებელი ტურისათვის როგორც VIII, ასევე IX-X კლასების მოსწავლეებს დამატებით მოეთხოვებათ თითო ნამუშევარი. ასეთი სამუშაოს შინაარსს მოსწავლე მასწავლებელთან ერთად ირჩევს თავისი სურვილის მიხედვით. იგი შეიძლება იყოს მხაზველობითი გეომეტრიის რაიმე კომპლექსური ხასიათის ამოცანა ან დარგობრივი განშტოების რაიმე თემა, მაგალითად შენობის ან რაიმე ნაკეთობის ტექნოლოგიური ნახაზი, ტოპოგრაფიული გეგმა, ელექტრული ან კინემატიკური სქემები.

**შენიშვნა:** IX-X კლასებისათვის საკონკურსო ნახაზები უნდა შეიცავდეს გეომეტრიულ შეუღლებებს, დასაშლელი შეერთებების გამოსახულებების გეომეტრიული ზედაპირების თანაკვეთის წირის აგების შემთხვევებს.

ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის პირობები ითვალისწინებს აგრეთვე ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის შემდეგ მოთხოვნებს:

1. საკონკურსო ნახაზებში უნდა ჩანდეს მოსწავლის თეორიული მომზადება საინჟინრო გრაფიკაში, მისი ჩვევები და უნარი ნახაზების სტანდარტული წესებით შესრულებასა და გრაფიკული გამოსახულებების აგების კულტურაში.

2. მესამე, დაუსწრებელი ტურის ნახაზები საგამოფენოა, ამიტომ მათი შესრულება განსაკუთრებული სიზუსტით მოითხოვება. რეკომენდებულია მათი დაკვრა სპეციალური სახის სტენდზე ან ალბომების სახით აკინძვა. ყოველი ნახაზი ხელმოწერილი უნდა იყოს საგნის მასწავლებლის მიერ.

3. საგამოფენო ნახაზი სრულდება 12 (29×420) ფორმატის სახაზავ ფურცელზე. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის გაზრდა.

4. ყველა ნახაზი, საზოგადოდ, სრულდება ფანქრით, დასაშვებია საგამოფენო ნახაზების შესრულება ტუშით.

5. მოდელების დამზადება რეკომენდებულია მუყაოსაგან, დეტალის ზედაპირის განფენის მიხედვით. დასაშვებია სკოლის სახელოსნოებში დამზადებული დეტალის წარმოდგენაც, რომელიც შესრულებული იქნება საგამოფენო რომელიმე ნახაზის მიხედვით.

6. კონკურსისადმი მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით კონკურსებში მონაწილეობის უფლება ეძლევა VII და უფრო დაბალი კლასების მოსწავლეებსაც.

კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I და II ხარისხის დიპლომებით.

I ხარისხის დიპლომის მფლობელთაგან საუკეთესოთ დამატებით გადაეეცმათ:

ა) გ. ნიკოლაძის სახელობის პრიზი;

ბ) საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საპატიო სიგელი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომით დაჯილდოებული მოსწავლე საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში თავისუფლდება გეგმილურ ხაზვაში სავალდებულო საშინაო დავალებებისაგან.

VII კლასელთა კონკურსი ტარდება ერთ დასწრებულ ტურად, რომელიც ჩატარდება ზონის ცენტრში.

VII კლასელთა საკონკურსო ამოცანებს ადგენს და ნამუშევრებს ამოწმებს ზონის საორგანიზაციო კომიტეტი და 15-14 ქულით შეფასებულ მოსწავლეს აჯილდოებს ადგილობრივი განათლების განყოფილების სიგელით.

VIII-IX-X კლასელთა საკონკურსო ამოცანები შედგენილი იქნება რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში და დროულად გადაეგზავნებათ ზონის და ადგილობრივ ხელშემწყობ კომისიებს.

საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი:

ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 6; ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, არქიტექტურისა და საინჟინრო გრაფიკის კაბინეტი. ტელეფონი: 99-00-94.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება № 725

### საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლაში სწავლებისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 ივლისის № 570 დადგენილებას „საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლაში სწავლებისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317 დადგენილების შესასრულებლად.

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
დადგენილება № 570
30 ივლისი, 1984 წ.
ქ. თბილისი

საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლაში სწავლებისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ

„საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლაში სწავლებისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317 დადგენილება „საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლაში სწავლებისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ" (თან ერთვის).

2. სკოლამდელ დაწესებულებებზე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების სრულად დასაკმაყოფილებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა:

— განახორციელონ ენერგიული ღონისძიებანი სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმიური დავალებების უთუოდ შესრულებისათვის;

— მაქსიმალურად გამოიყენონ სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრები. აღნიშნულ დაწესებულებათა მშენებლობა პირველ რიგში განახორციელონ იმ ქალაქებში, რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებსა და სოფლებში, სადაც მაღალია საზოგადოებრივ წარმოებაში მოსახლეობის დასაქმების დონე;

— უზრუნველყონ სოფლად მცხოვრებ ბავშვთა ტრანსპორტით მიყვანა სკოლამდელ დაწესებულებებში.

3. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ და უწყებებმა, რომლებიც სათამაშოებს ამზადებენ, სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი მათი ასორტიმენტის გასაფართოებლად, წარმოების გასადიდებლად, სათამაშოებისა და სათამაშო ხელსაწყოების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ისეთი ახალი ნიმუშების შესაქმნელად, რომლებიც სრულყოფილად უპასუხებენ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდის ამოცანებს.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტებმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მისმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა აამაღლონ მეცნიერული კვლევის დონე და სრულყონ პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სკოლამდელი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის პრობლემებთან, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განვითარების ძირითად კანონზომიერებათა შესწავლასა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფასთან. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საზოგადოებრივი და ოჯახური აღზრდის პირობებში ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების მეთოდების დამუშავებას.

აამაღლონ კვლევის შედეგების დანერგვის ეფექტიანობა სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, შესაბამისმა სამინიტროებმა და უწყებებმა პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარება სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ასამაღლებლად, ნიადაგ იზრუნონ ამ დაწესებულებათა მუშაკების საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, დასვენებისა და კულტურული გართობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სახალხო დეპუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ერთად შეისწავლოს რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა, შეიმუშაოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული მისი შემდგომი განვითარების პერსპექტიული გეგმა და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო წინადადებანი 1984 წლის 1 დეკემბრისათვის.

**საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე
დ. ქართველიშვილი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს საქმეთა მმართველი
ზ. ახვლედიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

### დადგენილება № 317
### 1984 წლის 12 აპრილი
### მოსკოვი, კრემლი

### საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდომი გაუმჯობესებისა და სკოლაში სწავლებისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად განახორციელონ ბავშვთა საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, გააუმჯობესონ მუშაობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყონ მათი მომზადება სკოლაში სწავლებისათვის.

2. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ შეიმუშაონ და შემოიღონ 1984—1985 წლებში საბავშვო ბაღში ბავშვთა აღზრდისა და სწავლების ტიპობრივი პროგრამა, პროგრამულ-მეთოდიკური დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სასწავლო თვალსაჩინოებანი.

3. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შეიმუშაონ და სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან და საკვაშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცონ დებულება საბავშვო სკოლამდელი დაწესებულების შესახებ და შემოიღონ იგი სამოქმედოდ 1985 წლის 1 იანვრიდან ყველა საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებაში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას სოფლად, შესაბამისი პირობების არსებობის კვალობაზე, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი „სკოლა-საბავშვო ბაღი". სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვროს ამ დაწესებულებათა შექმნისა და მუშაობის ორგანიზაციის წესი.

4. საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებზე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზ-

ნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა:

მიიღონ ზომები საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის საგეგმო დავალებათა უცილობლივ შესრულებისათვის:

აამაღლონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების როგორც ერთიანი შემკვეთების პასუხისმგებლობა საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა რაციონალური განლაგებისა და მშენებლობისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ აღნიშნულ დაწესებულებათა მშენებლობა პირველ რიგში განახორციელონ იმ რაიონებში, სადაც მაღალია საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა დასაქმების დონე და ახალმშენებარე ქალაქებში.

გაგრძელდეს 1986—1990 წლებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 ნოემბრის № 2243 განკარგულების მოქმედება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობას კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციათა ძალებით მათი საკუთარი სახსრების ხარჯზე.

5. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა მოაწყონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შეფობა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების გამგებლობაში არსებული საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებისადმი. უზრუნველყონ სოფლად მცხოვრებ ბავშვთა მიყვანა საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში.

6. დაწესდეს 1984 წლის 1 ივლისიდან:

ა) საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კვების ნორმები, 1-ლი დანართის თანახმად.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაამტკიცონ აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვთა კვებისათვის საჭირო ხარჯების ნორმები.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, „ცენტროსოიუზმა", მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტებით;

ბ) საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონობის საფასური, ოჯახის წევრზე საშუალო ერთობლივი შემოსავლის გათვალისწინებით, მე-2 დანართის თანახმად.

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასური არ გადახდებათ მშობლებს, რომელთა ოჯახში საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე არ აღემატება 60 მანეთს თვეში. ამ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასური მშობლებს, რომლებსაც ჰყავთ ოთხი და მეტი შვილი, შეუმცირდებათ 50 პროცენტით.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ინსტრუქცია საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასურის გადახდევინების წესის შესახებ;

გ) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა აღზრდით დასაქმებული მედდებისათვის და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ბაგის ჯგუფებისა და ბავშვთა სახლების აღმზრდელთათვის 6-საათიანი სამუშაო დღე (36 საათი კვირაში) და ყოველწლიური შვებულება 36 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, როგორც ეს გათვალისწინებულია საბავშვო ბაღების უფროსი ჯგუფების აღმზრდელთათვის.

იმ შემთხვევებში, როცა საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ბაგის ჯგუფებსა და ბავშვთა სახლებში აღმზრდელის თანამდებობის შემოღებისას (მედდის თანამდებობის ნაცვლად) ამ თანამდებობაზე მუშაკთათვის დაწესებული ხელფასის განაკვეთები (კოეფიციენტების, დანამატებისა და შეღავათების გათვალისწინებით) ამ მუშაკთა მიერ წინათ მიღებულ სარგოებზე (კოეფიციენტების, დანამატებისა და შეღავათების გათვალისწინებით) ნაკლებია, მათ მოცემულ დაწესებულებაში ახალ თანამდებობაზე მუშაობის დროისათვის მიეცემათ ხელფასის შესაბამისი სხვაობა (შეღავათების გათვალისწინებით).

7. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა მიიღონ ზომები საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურებისა და ჰიგიენური აღზრდის გასაუმჯობესებლად, განახორციელონ სისტემატური სამედიცინო მეთვალყურეობა ბავშვთა კვების ორგანიზაციის, ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი, გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა შესრულებისადმი, უზრუნველყონ ადრეული და სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვის ყოველწლიური დისპანსერიზაცია, ამასთან მიაღწიონ მათი ავადობის შემცირებას.

8. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც სათამაშოებს უშვებენ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სახალხო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლების ორგანოებთან ერთად მიიღონ ზომები სათამაშოებისა და სათამაშო მოწყობილობის ასორტიმენტის გასაფართოებლად, წარმოების გასადიდებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად, ამ საქონლის ისეთი ახალი ნიმუშების შესაქმნელად, რომლებიც სრულყოფილად უპასუხებენ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდის ამოცანებს.

9. სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, პედაგოგიური და სამედიცინო ინსტიტუტების შესაბამისმა კათედრებმა აამაღლონ ფუნდამენტურ გამოკვლევათა ხარისხი, რომელთა მიზანია სკოლამდელი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის პრობლემების დამუშავება, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განვითარების ძირითად კანონზომიერებათა შესწავლა, მათი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საზოგადოებრივი და საოჯახო აღზრდის პირობებში ბავშვის ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების მეთოდების დამუშავებას. აამაღლონ საბავშვო ბაღების მუშაობის პრაქტიკაში კვლევის შედეგების დანერგვის ეფექტიანობა.

10. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის დარგობრივმა სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარება. დღენიადაგ იზრუნონ ამ დაწესებულებების მუშაკთა საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, დასვენებისა და კულტურული გართობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

11. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა გაადიდონ სამეცნიერო-მეთოდიკური ლიტერატურის, სასწავლო თვალსაჩინოებათა, დიდაქტიკური მასალების, კინოფილმების, სპექტაკლების, რადიო და ტელეგადაცემების გამოშვება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის პრობლემებზე. გაზარდონ სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი მხატვრული ლიტერატურის ტირაჟები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. შეიქმნას სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის საკითხთა საერთო-საკავშირო საუწყებათაშორისო საბჭო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მთელი რიგი დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ 3 თვის ვადაში დაამტკიცოს საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობა და დებულება.

**სსრ კავშირის მინისტრთა**
**საბჭოს თავმჯდომარე**
**ნ. ტიხონოვი**

**სსრ კავშირის მინისტრთა**
**საბჭოს საქმეთა მმართველი**
**მ. სმირტიუკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317 დადგენილების დანართი 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ ო რ მ ე ბ ი

## ბავშვთა კვებისა საბავშვო ბაგებში, საბავშვო ბაღებში, ბაგა-ბაღებსა და სანატორიულ სკოლამდელ დაწესებულებებში

(გრამი დღეში ერთ ბავშვზე)

| | სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის | | სამიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის | | | სანატორიულ სკოლამდელ დაწესებულებებში | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებებში, სადაც ყოფნის ხანგრძლივობაა | | | | | | |
| | 9—10,5 საათი | 12—25 საათი | 9—10,5 საათი | 12 საათი | 24 საათი | სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის | სამიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის |
| ხორბლის პური | 55 | 60 | 80 | 110 | 110 | 70 | 110 |
| ჭვავის პური | 25 | 30 | 40 | 60 | 60 | 30 | 60 |
| ხორბლის ფქვილი | 16 | 16 | 20 | 25 | 25 | 16 | 25 |
| კარტოფილის ფქვილი | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 |
| ბურღული, პარკოსნები, მაკარონის ნაწარმი | 20 | 30 | 30 | 45 | 45 | 35 | 45 |
| კარტოფილი | 120 | 150 | 190 | 220 | 220 | 150 | 250 |
| სხვადასხვა ბოსტნეული | 180 | 200 | 200 | 250 | 250 | 300 | 300 |
| ახალი ხილი | 90 | 130 | 60 | 60 | 150 | 250 | 350 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხმელი ხილი (ჩირი) | 10 | 10 | 10 | 10 | 15 | 15 | 15 |
| საკონდიტრო ნაწარმი | 4 | 7 | 10 | 10 | 10 | 10 | 15 |
| შაქარი | 35 | 50 | 45 | 55 | 55 | 50 | 60 |
| კარაქი | 12 | 17 | 20 | 23 | 25 | 30 | 35 |
| მცენარეული ზეთი | 5 | 6 | 7 | 9 | 9 | 6 | 10 |
| კვერცხი (ცალი) | 0,25 | 0,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 | 1 | 1 |
| რძე | 500 | 600 | 420 | 500 | 500 | 700 | 700 |
| ხაჭო | 40 | 50 | 40 | 40 | 50 | 50 | 75 |
| ხორცი | 60 | 85 | 100 | 100 | 100 | 120 | 160 |
| თევზი | 20 | 25 | 45 | 50 | 50 | 25 | 70 |
| არაჟანი | 5 | 5 | 5 | 10 | 15 | 20 | 25 |
| ყველი | 3 | 3 | 5 | 5 | 5 | 10 | 10 |
| ჩაი | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,2 |
| ყავის სასმელი | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 |
| მარილი | 2 | 2 | 5 | 5 | 8 | 5 | 8 |
| საფუარი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

**შენიშვნა:** ნება დაერთოთ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს საჭირო პროდუქტების უქონლობის შემთხვევაში შეცვალონ ისინი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული პროდუქტების შეცვლის ცხრილის შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317 დადგენილების დანართი 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოდენობა

## საბავშვო ბაგებში, საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასურისა (მანეთი)

| საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრებზე თვეში | საბავშვო ბაღებში, სადაც ყოფნის ხანგრძლივობაა | | | | საბავშვო ბაგებში და ბაგა-ბაღების ბაგის ჯგუფებში, სადაც ყოფნის ხანგრძლივობაა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9—10,5 საათი | 12—14 საათი | 24 საათი | აგარაკზე გაყვანის დროს | 9—10,5 საათი | 12—14 საათი | აგარაკზე გაყვანის დროს |
| 60-ზე მეტი 80 მანეთამდე | 10 | 12,5 | 15 | 18 | 8 | 11 | 17 |
| 80-ზე მეტი 100 მანეთამდე | 11 | 13 | 16 | 19 | 9 | 12 | 18 |
| 100-ზე მეტი 125 მანეთამდე | 12 | 14 | 17 | 20 | 10 | 13 | 19 |
| 125-ზე მეტი 150 მანეთამდე | 13 | 15 | 18 | 21 | 11 | 14 | 20 |
| 150-ზე მეტი 175 მანეთამდე | 14 | 16 | 19 | 22 | 12 | 15 | 21 |
| 175-ზე მეტი 200 მანეთამდე | 15 | 18 | 20 | 23 | 13 | 16 | 22 |
| 200 მანეთზე მეტი | 16 | 20 | 21 | 24 | 14 | 17 | 23 |

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს**
**საქმეთა მმართველი მ. სმირტიუკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა და თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. მიიღონ სახელმძღვანელოდ და განუხრელი შესრულებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 ივლისის № 570 დადგენილებები „საზოგდოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლაში სწავლებისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ", განიხილონ ისინი კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და დასახონ მათი განხორციელების ღონისძიებები;

1. 2. დაიყვანონ თითოეულ სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელამდე ბავშვთა კვებისა და მოვლა-პატრონობის საფასურის ნორმები;

1. 3. უზრუნველყონ ბაგა-ბაღების მშენებლობის გეგმიური დავალებების შესრულება და სკოლამდელ დაწესებულებათა რაციონალური განლაგება. პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ფართო განვითარება საბავშვო ბაგების, ბაღების, ბაგა-ბაღების მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით.

2. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი) ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის პროგრამის დამუშავება და წარმოადგინოს იგი სამინისტროში დასამტკიცებლად.

3. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) გაზარდოს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის, სასწავლო თვალსაჩინოებისა და დიდაქტიკური მასალების გამოშვება.

4. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ კაკაურიძე) შეიმუშაოს გამოსაცემად რეკომენდაციები ბავშვთა კვების ორგანიზაციის, შრომისა და ფიზიკური აღზრდის საკითხებზე და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს განათლების სამინისტროში.

5. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი) მასწავლებელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად (ამხ. გ. გვათუა) 1986—1990 წლებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმების დამუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განვითარების ძირითადი კანონზომიერებების შესწავლას, საზოგადოებრივი და ოჯახური აღზრდის პირობებში ბავშვის ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირების მეთოდების დამუშავებას.

6. სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) სკოლების სამმართველოსთან ერთად (ამხ. თ. ტატიშვილი) დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს სკოლამდელ დაწესებულებებს 1-ლი კლასების ორგანიზაციის, სასწავლო პროცესისა და აღმზრდელობითი მუშაობის სწორად და შემოქმედებითად წარმართვაში.

სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

— თავიანთი მუშაობა წარმართონ და განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 ივლისის № 570 დადგენილებითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინამდებარე ბრძანებით. აღნიშნული დადგენილებები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და შეიმუშაონ მათი პრაქტიკულად განხორციელების შესაბამისი ღონისძიებები.

— შემოქმედებითად მიუდგნენ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საქმეს. თანამედროვე მეთოდების ფართოდ დანერგვის გზით მიაღწიონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა შრომით აღზრდას, მათში შრომისადმი სიყვარულისა და ჩვევების გამომუშავებას.

— მკაცრი კონტროლი დააწესონ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციაზე, მიაღწიონ ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების შეუფერხებელ მომარაგებას. უზრუნველყონ კვების ბლოკები აუცილებელი დანადგარ-მოწყობილობით და დგამ-ავეჯით, აწარმოონ მათი მარკირება. მტკიცედ დაიცვან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები.

— ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან და აღსაზრდელთა მშობლებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებითა და თანამშრომლობით უზრუნველყონ ბავშვთა დაავადებიანობის შემცირება და და უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები.

— იზრუნონ აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის, დღის ძილის, სათამაშო კუთხეების მოწყობისა და ბავშვთა თამაშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორი ორგანიზაციისათვის. ამ მიზნით სისტემატურად მოაწყონ თვით-ნაკეთი სათამაშოების კონკურსები.

7. სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) მკაცრი კონტროლი დააწესოს აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გადაწყვეტილება — 1984—1985 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მზადყოფნის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 3

გადაწყვეტილება — სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ . . . . . . 8

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს მიერ მიმდინარე წლის 6 თვეში ჩატარებული რევიზიების შედეგებისა და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 14

Решение — о результатах ревизий, проведенных Контрольно-ревизионным управлением Министерства финансов ГССР за 6 месяцев текущего года и мерах по изжитию имеющихся недостатков . . . . 20

გადაწყვეტილება — რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და ბავშვები" ჩატარების შესახებ . . . . . . 26

გადაწყვეტილება — სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური კონტროლის სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების მასალებისა და მიღებულ ღონისძიებათა შესახებ . . . . . 31

Решение — о материалах проверки, проведенной Управлением бухгалтерского учета и фианнсового контроля Минпроса СССР и мерах, принятых по устранению имеющихся недостатков . . . . . 35

გადაწყვეტილება — ახალი 1984—1985 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელი კადრებით უზრუნველყოფის შესახებ . . . . . . . . . 39

დადგენილება — ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების შესახებ . . . . . . . . 46

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ დამზადებული ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვის ორგანიზაციის პრაქტიკის შესახებ . . . . . . . . 50

დადგენილება — ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-20 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ 52

Постановление. — об итогах 20-го Республиканского конкурса юных фотолюбителей и мероприятиях по проведению 21-го Республиканского конкурса, посвященного 40-летию Победы над фашизмом . . . . . . 65

გადაწყვეტილება — ნორჩ მხატვართა 22-ე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და 23-ე კონკურსის ჩატარების შესახებ . . . . . . 78

ბრძანება № 725 — საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლაში სწავლებისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ . 89